# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 13 იანვარი 2007 №5 (2928) ფასი 50 თეთრი




**უჭრინმა უცხოელებს ოკეი უთხრა**

დინამოდებიუტი: მილოშ კრუკო და ნედ ზელიჩი 2



**ამაო და საამაყო ვერტმფრენი**

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან 3



**მაურინიუ ჩელსიდან გარბის**

პორტუგალიელმა ლამპარდი და ბალაკი ამოქექა 5




საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი ლევან ცქიტიშვილი ჰოლანდიურ „ალკმაარში“ ვარჯიშს განაგრძობს და ლუის ვან გაალის გუნდში ისე წავიდა საქმე, ახალი ქართველის „ალკმაარში“ ჩარიცხვის შანსი ერთი-ორად გაიზარდა.

როგორც ცქიტიშვილმა გვითხრა, ვან გაალს ის მარცხენა ან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე სჭირდება. ამ ამპლუას „ალკმაარში“ ხშირად ერგებოდა სტინ შხაარსი, ვინც ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების წევრიცაა. ჰოდა, გუშინდელ ვარჯიშზე შხაარსს კარგი ამბავი ვერ შეემთხვა: ტრავმა ისე გაუმიზეზდა, რომ საოპერაციო გახდა. სარეაბილიტაციო კურსის ჩათვლით შხაარსი დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს, ჰოლანდიაში კი სეზონი მომავალი კვირის ბოლოს განახლდება.

მოკლედ, ძალიან დიდი შანსია, ცქიტიშვილის „ალკმაარში“ ჩარიცხვის საკითხი ორშაბათისთვისაც კი გადაწყდეს.

**დავით თავართქილაძე**

# ლევან ცქიტიშვილის ექსპრეს-შანსი: შხაარსი





# ზღაპარ იყო, ზღაპარ არის...

თუ ხვალ რუმინეთში 11 ბურთით მოვიგებთ, მერე ორჯერ ბულგარეთსაც დავამარცხებთ და ეს ჩვენგან „გვემული“ რუმინეთიც ლატვიასთან ორივე თამაშს წააგებს, ჯგუფში მეორე ადგილზე და, შესაბამისად, პლეი ოფში გავალთ.

გჯერათ? არც ჩვენ.

ამის აღარ გვჯერა, მაგრამ იმის იმედი მაინც გვაქვს, რომ ერთ საშინაო თამაშს ბულგარეთს მოვუგებთ და მთლად ნული ქულით არ დავასრულებთ ამ შესარჩევ ციკლს.

შემდეგ ჯერზე იქნებ ორიც მოვიგოთ, მერე სამიც და... რა ვქნათ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს...

სხვანაირად არ შეიძლება. იმედიც უნდა გვქონდეს და ხელიც უნდა გავატოკოთ, მით უმეტეს, როდესაც საქმე ხელბურთს ეხება და აქ კი ნამდვილად გვაქვს სატრაბახო და გასახსენებელი, ისევე როგორც რუმინელებს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებად რომ იწოდებიან და დღეს ჩვენს დონეზე უწევთ თამაში.

რუმინეთმა თავისი იკითხოს, ჩვენ კი ეს დონე ნამდვილად არ გვაკმაყოფილებს და ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, საქართველოს ნაკრები ამ დონესა და ერთი ტაიმის გაძლებას რომ გასცდეს.



# რა ილაპარაკეს პლატინიმ და ახალკაცმა ეიფელის ჩრდილქვეშ


საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისის გახსნას სტუმრები არ აკლდნენ

**გუშინ** პარიზში საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისი საზეიმოდ გაიხსნა და ღონისძიებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც იყო მიწვეული.

ფრანგული ფედერაციის ძველი სახლი პარიზის ყველაზე ელეგანტურ უბანში, ტრიუმფალურ თაღთან იყო, ამიერიდან კი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის 140-კაციანი კოლექტივი ეიფელის კოშკთან იმუშავებს.

„ჩვენი ფედერაციის გადატანა იქ გვინდოდა, სადაც ქალაქის გული ფეთქავს" — უთქვამს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჟან-პიერ ესკალეტს.

იქვე იყვნენ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, მიმდინარე შესარჩევში ჩვენი მეტოქის, საფრანგეთის ნაკრების თავკაცი რაიმონ დომენეკი, ჟერარ ულიე და ლეგენდარული მიშელ პლატინი, ვინც 26 იანვარს უეფას პრეზიდენტის არჩევნებში იუჰანსონს გაეჯიბრება და რომლის ერთ-ერთი მხარდამჭერი საქარველოს ფეხბურთის ფედერაციაა.

ეიფელის კოშკთან პლატინის და ახალკაცს ალბათ კიდევ რაღაც ექნებოდათ სათქმელი ერთმანეთისთვის.

**დავით თავართქილაძე**

# უჰრინმა უცხოელებს ოკეი უთხრა
## დინამომ კავკასიური დერბი მოიგო

**თბილისის** „დინამოს" ანთალიაში 27 წლის სლოვაკმა მილოშ კრშკომ რომ ჩააკითხა, ეს ამბავი უკვე გეცოდინებათ. ის ბოლოს სლოვაკეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ტრენჩინში" თამაშობდა, თუმცა იქ ლიდერ „ჟილინასგან" იყო განათხოვრებული. თავის დროზე კრშკოს ჩეხური „ბრნოს" მაისურაც ეცვა. გუშინ კი მასზე ერთი-ორი საინტერესო ცნობაც მოვიძიეთ.

კერძოდ: ამ სლოვაკ მცველს შვიდი წლის წინ კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ უთამაშია. კრშკო სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდა, რომელიც ჩვენებმა 2:0 დაამარცხეს. იმავე წელს კი მილოშ კრშკომ სლოვაკ თანატოლებთან ერთად სიდნეის ოლიმპიადაზეც ითამაშა. სხვათა შორის, კრშკო სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრებს ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, ეროვნულ გუნდში მოხვედრასთანაც ახლოს იყო, მაგრამ მძიმე ტრავმამ ოქროს წლები დააკარგვინა.

ამ სეზონში კრშკომ „ტრენჩინის" შემადგენლობაში უკლებლივ ყველა მატჩი ჩაატარა, თუმცა პირველი წრის ბოლოს იჯარის ვადა დაუმთავრდა და „ჟილინას" დაუბრუნდა. სწორედ ამ გუნდიდან ჩავიდა ის ანთალიაში და გუშინვე „დინამოს" მაისურით პირველ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა...

გროზნოს „ტერეკთან" მატჩი დინამოელებმა 1:0 მოიგეს. გოლი 44-ე წუთზე დავით ოდიკაძემ გაიტანა, ვინც შორიდან შენიშნა მეკარის არასწორი პოზიცია და ტექნიკური დარტყმით მოაგებინა „დინამოს".

თბილისელთა შესაძლო უცხოელი ახალწვეულები ავსტრალიელი ნედ ზელიჩი და მილოშ კრშკო ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, ისინი დაცვის ცენტრს ამაგრებდნენ და ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ეს კარგად გააკეთეს.

თბილისელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *გრიშიკაშვილი, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, გუგავა; ოდიკაძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ხუციშვილი, კობახიძე; იაშვილი.* შესვენების შემდეგ კი ამათ ითამაშეს: *გ. კაშია, გ. მერებაშვილი, ნოზაძე, ჯანაშია, დვალი, ნერგაძე, ჩირიკაშვილი, აკობია, თომაშვილი, გიგაური.*

დინამოს პრესსამსახურის უფროს გიგა გვენცაძის თქმით, დუშან უჰრინმა ყველაზე მეტხანს თამაშის საშუალება ზელიჩსა და დიღმელაშვილს მისცა, რომლებიც მატჩის მიწურულს შეცვალა. უცხოელებით კი მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა.

სხვათა შორის, გეტყვით, რომ გროზნოს „ტერეკმა" შარშანწინ რუსეთის თასი მოიგო, ხოლო ახლა პრემიერლიგაში დაბრუნების უპირველეს კანდიდატად ითვლება.

თბილისის „დინამო" ანთალიაში კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს: თუ არაფერი შეიცვალა, 15 იანვარს ზაპოროჟიეს „მეტალურგს" გაეჯიბრება, 19-ში კი „ხარკოვს".


მილოშ კრშკო

**ჭობა ინასარიძე**

# მარცვალაძე კიევში ძუნძულებს, იმედაშვილი არაბეთში დარბის



**საქართველოს** ნაკრებისა და კიევის „დინამოს" თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე, ვინც ორი თვის წინ მძიმედ დაშავდა, ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის, კიევშია და „დინამოს" ბაზაზე ფიზიოთერაპევტების მითითებებს ასრულებს.

ამასობაში კი კიეველები არაბთა გაერთიანებულ საემიროებში უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას შეუდგნენ და სხვებთან ერთად იქ დავით იმედაშვილიც იმყოფება.

მოკლედ, „დინამოს" ერთი ქართველი კიევში ინდივიდუალური პროგრამით ემზადება, მეორე კი არაბეთშია და თავის საქმეს აკეთებს...

— უკვე რამდენიმე დღეა, ძუნძული დავიწყე, საღამოობით მასაჟებს ვიკეთებ — გვითხრა გუშინ ოთარ მარცვალაძემ — ტრავმის შემდეგ ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის, ექიმების ყოველდღიური მეთვალყურეობით ვვარჯიშობ და, როგორც ისინი მეუბნებიან, გართულებები არ უნდა იყოს. მთელი დატვირთვით ვარჯიშს, ალბათ, თებერვლიდან შევუდგები, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, „დინამოს" მეორე შეკრებაზე გავყვები თუ ვერა. არაბეთიდან დაბრუნებულ გუნდს შევუერთდები, მზადებას სხვებთან ერთად განვაგრძნობ და მერე უკვე ჩემი ამბავი მწვრთნელის გადასაწყვეტი იქნება. იმედი კი მაქვს, რომ შემდეგი შეკრებისას, ისრაელში მთავარ გუნდთან ვარჯიშის საშუალება მექნება.

**ჭობა ინასარიძე**

# კუტივაძე და სტადიონი
## მერანი ამაზე არ ჩერდება

**თბილისის** „მერანს" მოკრძალებული მიზნები რომ არ აქვს, იქიდანაც ჩანს, რომ 31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალ სამიათასიან სტადიონს აშენებს, სადაც სეზონის მეორე ეტაპიდან ითამაშებს კიდეც და ინფრასტრუქტურის მოღონიერების გარდა, „მერანი" კონტინგენტითაც აპირებს გაძლიერებას.

მეორე წრიდან „მერანს" გამოცდილი მწვრთნელი სერგო კუტივაძე უთავკაცებს და ალბათ რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელსაც დაიმატებს.

„მერანში" უკვე ვარჯიშობს 30 წლის ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი, 2000-01 წლების საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი — თუ ის „მერანში" ჩაირიცხება, ურიგო შენაძენი ალბათ არ იქნება გუნდისთვის.

„მერანში" უკვე მივიდა კიდევ ერთი ახალი მწვრთნელი — ფიზმომზადებას ასევე სტაჟიანი სპეციალისტი იური სტადუხინი გაუძღვება.

**ნიკა ჯორჯაძე**



# ჯაკობიას თებერვალი და მარტი

**ხანგრძლივი** პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა საქართველოს ნაკრებისა და ხარკოვის „მეტალისტის" თავდამსხმელმა ლაშა ჯაკობიამ, თუმცა, ბუნებრივია, ჯერჯერობით სრულად ვერ იტვირთება.

ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ სრულყოფილად ვარჯიშს მარტში დაიწყებს. იქამდე კი ჯერაც გაურკვეველია მისი მომავალი გუნდის ამბავიც...

— ამ ტრავმამ გამაწამა. ჯერ მხოლოდ ვძუნძულებ. მართალია, ტკივილებს არ ვგრძნობ, მაგრამ ექიმები სიფრთხილეს მირჩევენ. სრულყოფილად ალბათ მარტიდან ვივარჯიშებ. თებერვლის დასაწყისში კი ხარკოვში უნდა ჩავიდე. მარტის ბოლოდან, შესაძლოა, ვითამაშო კიდეც, რა თქმა უნდა, თუ საშუალება მომცეს. ფორმაში რომ ვიყო, განათხოვრების წესით სადმე სხვაგან გადავიდოდი, მაგრამ... ალბათ მალე ყველაფერი გაირკვევა — გვითხრა გუშინ ლაშა ჯაკობიამ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXVIII ტური

ვესტ ბრომვიჩი 3:2 ლუთონი

### იტალია

სერია B. XIX ტური

სპეცია 3:3 პიაჩენცა

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XXI ტური

ამიენი 1:1 აიაჩო

ბასტია 3:2 ლიბურნი

შატორუ 1:0 კრეტეი

დიჟონი 1:0 ისტრი

გენგამი 2:2 გრენობლი

ნიორი 1:1 გენიონი

ტურსი 0:2 ლე ავრი

მეცი 2:2 რეიმსი

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი

XXIII ტური

კამბური 0:1 ვოლენდამი

ემენი 3:2 ეინდჰოვენი

დენ ბოსხი 2:0 აპელდორნი

დორდრეხტი 4:1 ოსი

ალმერე 3:1 მაასტრიხტი

ზვოლე 1:3 ვეენდამი

სიტარდი 2:0 ჰაარლემი

ჰელმონდი 1:1 ვენლო

როზენდალი 1:3 გრააფსხაპი

ტელსტარი 2:2 იგლსი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XV ტური

ბოავიშტა 1:1 მარიტიმუ

### ამხანაგური მატჩები

ბაჰრეინი 4:0 იემენი

საამიროები 0:2 ირანი

საუდის არაბეთი 2:1 სირია

# ამაო და საამაყო ვერტმფრენი

ლევან კობიაშვილი და „შალკე“ სამეორეწრეოდ ემზადებიან და კარგ განწყობაზეც არიან. რატომაც არა, „ხუმარები“ „ვერდერთან“ ერთად ლიდერობენ ცხრილს და ვინძლო, კარგა ხნის ნანატრი ბუნდესსასალათეც დაიმარტოხელონ. ამასწინათ „შალკეს“ ფანებმა გუნდის ქართველ ლიდერს საახალწლო საჩუქარი უძღვნეს — ბუნებრივია, კობისთან მხოლოდ ამ თემაზე არ გვისაუბრია...

## ლევან კობიაშვილი: ასათიანი ნებისმიერ გრანდში. ითამაშებს



— შეკრება 4 იანვარს დავიწყეთ, ყველაფერი ნორმალურად მიდის, მეც ჩვეული რეჟიმით ვემზადები. ჯერჯერობით გერმანიის ქვედალიგელს ვეთამაშეთ, ეს იყო და ეს...

— საინტერესო ტრანსფერები ხომ არ არის მოსალოდნელი „შალკეში“?

— ყველაზე აქტუალურად ჰამიტ ალტინტოპის თურქეთში შესაძლო წასვლაზე ლაპარაკობენ. „შალკე“ ცდილობს მასთან კონტრაქტის გაგრძელებას, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება. სხვა მხრივ, ბუნდესლიგაში ზამთრის შესვენებაზე გუნდები არ აქტიურობენ ხოლმე სატრანსფერო ბაზარზე, „შალკეც“ ასეა.

— მოსკოვის „სპარტაკი“ ხომ არ გააქტიურებულა შენ თაობაზე?

— არა. მაშინაც ვთქვი, რომ ეს სისულელეა — თავად „სპარტაკიდანაც“ არავინ დამკავშირებია. უბრალოდ, ეგ იყო, რუსმა ჟურნალისტებმა დამირეკეს და ეს ამბავი მითხრეს.

— „შალკე“ ხშირად ყოფილა ბუნდესლიგის ლიდერი, თუმცა ბოლო წლებში მეორე წრეში თმობდა ხოლმე პოზიციებს. ახლა რამდენად რეალურია, რომ ჩემპიონები გახდეთ?

— ერთი ცხადია: ჩემპიონობისთვის ჩვენ, „ვერდერი“ და „ბაიერნი“ ვიბრძოლებთ. მათთან კი ის უპირატესობა გვაქვს, რომ „შალკე“ მხოლოდ ბუნდესლიგაში იბრძვის, „ვერდერი“ და „ბაიერნი“ კი ევროთასებს შემორჩნენ. რა ვიცი, იქნებ ეს არც არის უპირატესობა... გერმანული პრესა ვარაუდობს, წლეულს ბუნდესლიგის ბოლო ტურები ისეთი დაძაბული იქნება, როგორც არასდროსო. მთავარი ალბათ ის იქნება, ამ სამი გუნდიდან რომელი გადაანაწილებს ძალებს სწორად და უკეთ.

— ამასწინათ, „შალკეს“ ვებგვერდზე წავიკითხეთ, რომ გუნდის ფანებს საახალწლო საჩუქარი გაუკეთებიათ შენთვის...

— ჩვენთან ასეთი ტრადიციაა, „შალკეს“ ფან-კლუბი გუნდის ყველა ფეხბურთელს სათითაოდ ეპატიჟება და ასაჩუქრებს. მე ვერტმფრენი მაჩუქეს, ორკაციანი თუ სამკაციანი. ოღონდ ამ საჩუქარს ვერაფრით გამოვიყენებ, რადგან გინდ ვერტმფრენით და გინდ თვითმფრინავით ფრენა არასდროს მიზიდავდა. თუმცა ეს რა შუაშია, ფანების დიდი მადლობელი ვარ.

— „შალკეში“ მალხაზ ასათიანის გადასვლაზე არაერთხელ ითქვა და ახალი ხომ არაფერია ამ მხრივ?

— ჩემთვის არავის უკითხავს ასათიანზე და სიმართლე გითხრათ, ძალიან მეეჭვება, ეს ტრანსფერი მალე მოხდეს — ყოველ შემთხვევაში, ამ ზამთარში ეს გამორიცხულია. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება, მალხაზი ზაფხულში „შალკეში“ თუ გადმოვა — ის ისეთი დონის ფეხბურთელია, „შალკეში“ კი არა, ნებისმიერ გრანდში ითამაშებს.

— დავით მუჯირი კვლავ შენთანაა?

— აქ არის და ხვალ მიფრინავს თურქეთში, „კრილიას“ შეკრებაზე შეუერთდება.

ილია ნანობაშვილი



## რუსებმა მუჯირს შეკრება შეუკრიჭეს

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დავით მუჯირი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ახლა ბიუროკრატიული პრობლემები შეექმნა — ვიზის არქონის გამო ჯერაც ვერ შეუერთდა თურქულ შეკრებაზე მყოფ სამარის „კრილია სოვეტოვს“.

მუჯირი ახლა გერმანიაშია, ლევან კობიაშვილს სტუმრობს და უვიზოდ დარჩენილი იქვე ვარჯიშობს.

„კრილია სოვეტოვის“ ხელმძღვანელობა კი აქამდე ამაოდ ცდილობდა ქართველი ლეგიონერისთვის პრობლემის მოგვარებას — რუსები ვიზას არ იძლეოდნენ.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, მუშაობა ახლაც მიდის და დღეს-ხვალ მუჯირი გუნდს შეუერთდება, თუმცა ისე კი გამოვიდა, რომ ახალგამოჯანმრთელებულ ქართველ შემტევს გუნდის პირველი შეკრების საკმაო ნაწილი გაუცდა.

ქახა შალამბერიძე

## კობის კლაინ-ტესტი

გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა ლევან კობიაშვილის „შალკე“. ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა პირველი ტესტ-მატჩი გამართა ქვედალიგელ „იურდინგენთან“ და 2:1 გაიმარჯვა. კობიაშვილმა, ისევე, როგორც ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელმა, მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, რომელიც 0:0 დასრულდა.

ცნობისთვის, „შალკე“ შეხვედრას აგებდა, მაგრამ პანდერმა და კობის შემცვლელმა გუსტავო ვარელამ გელზერკირხენელებს მოაგებინეს.

„ძლიერი დატვირთვების შემდეგ ბიჭებმა თავი შესანიშნავად წარმოაჩინეს. შეხვედრა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც ლამაზად ვითამაშეთ“ — განაცხადა „შალკეს“ მწვრთნელმა მირკო სლომკამ, რომელმაც კობიაშვილი ამ შეხვედრაში ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ათამაშა.

მორიგ საკონტროლო შეხვედრას გელზენკირხენის „შალკე“ ჰოლანდიის ერედივიზიონში მოთამაშე „უტრეხტთან“ გამართავს, მერე კი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ გაეჯიბრება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

## გიგიაძე კრივბასში საიუბილეოდ დარჩა



კრივოი როგის „კრივბასის“ ქართველი კაპიტანი ვასილ გიგიაძე გუნდში რჩება. ასეთი გადაწყვეტილება მან ახალ მწვრთნელ ოლეგ ტარანთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

გიგიაძე „კრივბასში“ შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო სხვაგან გადასვლას აპირებდა, თუმცა ჩანს, ყველაფერი რიგზეა და ვასოც სეზონს კრივოი როგში ჩაამთავრებს.

სხვათა შორის, მეორე წრეში გიგიაძე „კრივბასის“ მაისურით საიუბილეო, 50-ე გოლის გატანასაც ეცდება — აქამდე ჩვენებურს ამ გუნდში 49 გოლი გაუტანია (47 ჩემპიონატში, 2 თასზე).

ქახა შალამბერიძე

## ბობოხიძის მეორე უკრაინული ცდა

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამოს“ მიერ ტრანსფერზე დაყენებული ფორვარდი მიხეილ ბობოხიძე უკრაინაში, გიგიაძე-ბურდულის „კრივბასში“ მივიდა და ივარჯიშა, მაგრამ...

ბობოხიძემ ოდენ ერთხელ ივარჯიშა კრივოი როგის „კრივბასში“ და იქიდან წამოვიდა. მის კრივბასურ ვოიაჟს გუნდში გასინჯვაზე მისვლა არ ეთქმის — კლუბი და ფეხბურთელი, ფაქტობრივად, ვერაფერზე შეთანხმდნენ და დღეს „კრივბასი“ ბობოხიძის გარეშე გაემგზავრება ანთალიურ შეკრებაზე.

ბობოხიძე კი უკრაინაში რჩება — მისი სავარაუდო გუნდი ლუგანსკის „ზარიაა“.

ნიკა ჯორჯაძე

## ბაკი ერთ ქართველს დასჯერდა

ბოლნისის „სიონის“ მსგავსად, „თანამეგობრობის თასის“ გათამაშებისთვის ემზადება აზერბაიჯანის ჩემპიონი „ბაკიც“.

გეცოდინებათ, საქართველოს და აზერბაიჯანის ჩემპიონები შარშან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ორი მატჩის ჯამში (2:0, 0:1) „სიონმა“ იმარჯვა.

გამორიცხული სულაც არ არის, ეს გუნდები მოსკოვშიც გადაეყარნონ ერთმანეთს.

„ბაკის“ ამბები ჩვენთვის იმადაცაა საინტერესო, რომ აზერბაიჯანულ გუნდში სამი ქართველი, ალეკო გოგობერიშვილი, ამირან მუჯირი და გიორგი მეგრელაძე, თამაშობს.

ამ სამეულიდან მოსკოვში ვერ გაემგზავრება მეგრელაძე, ვისაც ლვიძლი აწუხებს. საეჭვო იყო მუჯირის წასვლაც, რომელმაც ზურგის ტკივილის გამო ტესტ-მატჩიც გამოტოვა — „ბაკიმ“ „სიმურგთან“ 0:2 დათმო.

როგორც გავარკვიეთ, მუჯირის ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და მორიგ საკონტროლო შეხვედრაში ბაქოს „ნეფთჩისთან“ (1:1) პირველი ტაიმი ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# კიკნაძე და ზამთარაძე ქუთაისიდან წამოვიდნენ

## მწვრთნელები ტორპედოს შეკრებას ჩაუტანენ



**საბოლოოდ** ჯერ კიდევ გაურკვეველია ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი მეპატრონის ვინაობა. როგორც ითქვა, ყველაფერი ძველით ახალი წლის შემდეგ უნდა გადაწყდეს, მანამდე კი გუნდს ორდღიანი დასვენება გამოუწერეს. მწვრთნელები გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე თბილისში დაბრუნდნენ და ქუთაისში წასვლამდე კიკნაძე სწორედ სავარაუდო ახალ მეპატრონეს უნდა შეხვდეს და გუნდის გეგმებზე ესაუბრონ.

„ტორპედო“ 15 იანვრიდან ისევ საღორიის ბაზაზე შეიკრიბება და კიკნაძის ჩასვლის შემდეგ გაირკვევა, სად გაივლის შეკრების მეორე ეტაპს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კახეთი ფულით კი არა, მოთამაშეებით მდიდრდება

**თელავის** „კახეთი“ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას აგრძელებს.

კლუბი მხოლოდ რაიონის გამგეობის იმედზეა, რომელიც ჯერჯერობით იმ თანხას გაიღებს, რომ გუნდმა თავი ირჩინოს. ამის მიუხედავად, „კახეთში“ ძვრები მაინც შეიმჩნევა და ჩვენც გუშინ თელაველთა მთავარ მწვრთნელ ვასილ არუდაშვილს შევეხმიანეთ...

„ფინანსური მდგომარეობა უცვლელია, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებაზე მაინც ვფიქრობთ. ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ „გურჯაანის“ მცველი მერაბ კუპრაშვილი და „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი თავდამსხმელი ერეკლე მერებაშვილი. ჯერჯერობით, მათთან კონტრაქტები არ გაგვიფორმებია, მაგრამ ალბათ დავიტოვებთ. შარშანდელი სეზონი გაუცდა ჩვენს მეკარე გიგა იაშვილს, თუმც ახლა კარგ ფორმაშია და მეორე წრიდან ისიც დაგვეხმარება. მათ გარდა გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა ისინჯება და მათგან საუკეთესოებს შევარჩევთ“ — გვითხრა არუდაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სტურუას არავისგან არაფერი გაუგია



**როგორც ჩანს,** ზვიად სტურუას „დინამოში“ გაჩერება არ უწერია. გუნდში დუშან უჰრინი რომ გათავკაცდა, 28 წლის მეკარესაც თითქოს წალმა წაუვიდა საქმე — ძირითად გუნდში დაბრუნეს, თუმცა... „დინამო“ ანთალიაში წავიდა და სტურუა სახლში დატოვეს.

„არ ვიცი, რა იქნება, ჩემი მომავალი გაურკვეველია. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და რომელიმე კლუბის შემოთავაზებას ველი, თუმცა კონკრეტულს რომ თავი დავანებოთ, ყურმოკრული წინადადებებიც კი არ ისმის. „დინამოსთან“ კიდევ წლინახევრით მაქვს კონტრაქტი“ — გვითხრა სულ რაღაც ორი სეზონის წინ საქართველოს ნაკრების მთავარმეკარემ.

**ილია ნანობაშვილი**

# სად იქნება ჩიხურას შინ?

**ორშაბათს** განაახლებს ვარჯიშს საჩხერის „ჩიხურა“ — გუნდი მეორე ეტაპსაც თბილისში გაივლის.

საღლეისოდ ისევ გაურკვეველია ზემოიმერელთა ფინანსური მდგომარეობა, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ეს პრობლემა მალე მოგვარდება. ცნობილია ისიც, რომ, „ჩიხურა“ ახალ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და ისინი გუნდს 15 იანვარს შეუერთდებიან.

თბილისში „ჩიხურა“ „ნორჩი დინამოელის“ სტადიონზე ივარჯიშებს და, შესაძლოა, მეორე წრის საშინაო მატჩებიც იქვე ჩაატაროს, თუმცა ჯერჯერობით ჭიათურაში თამაშსაც არ გამორიცხავენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დილა აღარ ხუმრობს: თევდორაძეს პლუს ოთხი



რევაზ თევდორაძე

**გორის** „დილა“ მეორე წრეში სხვა გუნდი იქნება, სავარაუდოდ, ქულებსაც აკრეფს და, ვინ იცის, უმაღლესი ლიგიდან გავარდნასაც გადაურჩეს. კლუბს ახალი მფლობელები ჰყავს, რომლებიც არცთუ ცოტა თანხას ხარჯავენ — ყოველ შემთხვევაში, ადრინდელთან, როცა „დილას“ გასვლით მატჩებზე წასვლა ოცნებად ჰქონდა ხოლმე, შედარებაც არაა.

გორელთა მწვრთნელმა მამუკა ვარდოსანიძემ რამდენიმე დღის წინ გვითხრა, სერიოზულ შემადგენლობას შევკრებთ და იმედიც მაქვს, რომ უმაღლეს ლიგაში დავრჩებით.

„დილას“ ახალი შენაძენი კი 18 წლის მეკარე რევაზ თევდორაძეა. თევდორაძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების გოლკიპერია, 21-წლამდელებშიც უთამაშია და, რაც შეეხება ყოფილ კლუბებს, გეცოდინებათ, ბოლოს ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ იყო, მანამდე კი „თბილისში“.

„თევდორაძის სახით საკმაო ძალა შევიმატეთ. მას სეზონის ბოლომდე გავუფორმეთ კონტრაქტი, გაგრძელების პერსპექტივით. კვირას კი ოთხ ფეხბურთელს კიდევ ველით — ჯერ გვარებს არ დავასახელებ, თუმც თითქმის გადაწყვეტილია, რომ ისინი ჩვენთან ითამაშებენ. სამი მათგანი მცველია, ერთი კი — თავდამსხმელი. ალბათ, ამით დავამთავრებთ კიდეც ტრანსფერებს, რადგან „დილაში“ უკვე დაბრუნდნენ ძმები, კობა და დავით ხანიშვილები, ბექა და გიორგი ჩიტაიები. მათ გარდა, გუნდში გვყავს 18-19 წლის ბიჭები, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება უკვე აქვთ და არავისზე ნაკლებნი არ არიან“ — გვითხრა გუშინ მამუკა ვარდოსანიძემ.

**ილია ნანობაშვილი**

# გაგრა კიევის ოთხ დინამოს გაეჯიბრება

**პირველლიგელი** „გაგრა“ დღეს კიევში ჩავა, კიევის „დინამოს“ ბაზასთან მდებარე კომპლექსში დაბინავდება და 17 იანვრიდან კიევის „დინამოს“ ყოფილ მეკარის მაკაროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში ჩაებმება.

ტურნირში 18 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც სამ ექვსგუნდა ჯგუფად არიან დაყოფილები. „გაგრას“ ჯგუფში კიევის „დინამოს“ ოთხი გუნდია — „დინამო 2“, „დინამო 3“, „დინამოს“ დუბლები და „დინამოს“ საფეხბურთო სკოლა, ასევე კიევური ცსკა. დანარჩენ ორ ჯგუფში კი მეტწილად უკრაინის პირველი ლიგის გუნდები არიან.

მომდევნო ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო და კიდევ ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის.

„გაგრა“ პირველ შეხვედრას 17 იანვარს გამართავს „დინამო 3“-თან.

ერთიც: მგზავრობის გარდა „გაგრის“ ყველა ხარჯს კიევის „დინამო“ გაისტუმრებს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ვიზები, ვიზები, რუსეთის ვიზები

## სიონმა მასპინძელს სამით მეტი დასტყუა

**ბოლნისის** „სიონის“ მოსკოვში გამგზავრება საბოლოოდ მოგვარდა.

გუშინ ვიზების გასაკეთებლად ყველა საჭირო დოკუმენტაცია ჩამოვიდა და ბოლნისელებიც ფორმალური საკითხების მოსაგვარებლად საელჩოში მივიდნენ. როგორც „სიონის“ გენერალურმა დირექტორმა მალხაზ აბრამიშვილმა გვითხრა, მოსკოვში 28-კაციანი დელეგაცია წავა. აქედან სამი აფრიკელი ლეგიონერი სტამბოლის გავლით გაფრინდება, ხოლო დანარჩენები ერევნიდან.

მოსკოვში ეს მოთამაშეები მიემგზავრებიან: *ზურაბ მამალაძე, მინდია ბობღიაშვილი, გიორგი სეთურიძე, ლაშა ჭელიძე, გიორგი ონიანი, მიხეილ კობაური, ბოიომო ფრიდოლინი, გიორგი ჩაგელიშვილი, ლაშა ქებაძე, ლევან სილაგაძე, არჩილ ალავიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი კახელიშვილი, ერიკ რომეო ჩასემი, თემურ რაქვიაშვილი, დავით სვანიძე, ლევან ბაჯელიძე, გიორგი ოქროპირიძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, გიორგი კვიტაიშვილი, გასტონ ევოჩე, ბაჩანა ცხადაძე, თორნიკე აფციაური;*

*მთავარი მწვრთნელი: კახა ცხადაძე*

*მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე*

*მეკარეთა მწვრთნელი: დავით ასლანაძე*

*გენერალური დირექტორი: მალხაზ აბრამიშვილი*

*გენერალური მენეჯერი: ჯემალ ჭიპაშვილი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





მაურინიუს და აბრამოვიჩის გზები გაიყრება

# ჩაზურჩულებული ამბავი: მაურინიუ ჩელსიდან გარბის

## პორტუგალიელმა ლამპარდი და ბალაკი ამოქექა

**გადაწყვეტილია** — ჟოზე მაურინიუ სეზონის ბოლოს „ჩელსის" ტოვებს. ამ სენსაციურ ინფორმაციას მადრიდული „ასი" გვაწვდის, რომლის ჟურნალისტიც პორტუგალიელთან დაახლოებულ პირებს გაესაუბრა და დაადგინა, რომ სეუ ჟოზე მაურინიუ კლუბის თავკაცობასთან უბრადაა და „სტემფორდ ბრიჯზე" კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს.

„არ ვიცი, მაურინიუ მომავალ სეზონში სად იმუშავებს, მაგრამ „ჩელსიში" რომ არ დარჩება, ეს ცხადია" — უთხრა ესპანური გაზეთის კორესპონდენტს ჟოზე მაურინიუს ერთ-ერთმა ასისტენტმა. „ასი" ამ პიროვნების ვინაობას არ გვიმხელს, მაგრამ ვგეუბნება, რომ პორტუგალიელი აბრამოვიჩს ტრანსფერების გამო წაჰკიდებია, გუნდში ვისი მოყვანაც გთხოვეთ, არ შემისრულეთ, უვარგისი ტრანსფერები კი ხალისით გაჩარხეთო.

თავად „მაუ" სახალხოდ „ჩელსის" დატოვების სურვილს არ ამჟღავნებს. ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა თქვა: „ჩემი პოზიცია მთავარი არაა, ყველაზე მნიშვნელოვანი „ჩელსია" და არა ჟოზე მაურინიუ. გუნდში ახალი ფეხბურთელების მოყვანა ნამდვილად ვითხოვე, თუმცა ამ საქმეს მე ვერ გადავწყვეტ. როგორც ვიცი, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე „ჩელსი" ახალს არავის იყიდის და კლუბსაც არავინ დატოვებს. მაურინიუს „სტემფორდ ბრიჯზე" „მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდა ნახევარმცველ მიკა რიჩარდსის და „ტოტენჰემის" ფორვარდ დეფოს მიყვანა უნდოდა. ასევე სურდა, რომ „ჩელსი" ანდრეი შევჩენკოს და შონ რაიტ ფილიპსს დაეტოვებინათ. თუმცა კლუბმა მის მოთხოვნებს ანგარიში არ გაუწია. ამბობენ, რომ ტრანსფერების საქმეში „სტემფორდ ბრიჯზე" მაურინიუზე მეტად სხვათა აზრს ითვალისწინებენ, მაგალითად, სპორტული დირექტორის ფრენკ არესენის და სხვა მალაჩინოსანის, პიტერ კინიონისას. თვით აბრამოვიჩიც მოწყალედ ერევა ახალი ფეხბურთელების ყიდვის საქმეში. გავიხსენოთ, რომ მიხაელ ბალაკი და ანდრეი შევჩენკო „ჩელსიში" რუსი მეპატრონის დაჟინებული თხოვნის შემდეგ ჩარიცხეს, მაურინიუ კი მაშინ ამ გადაწყვეტილებას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია.

გასულ წელს „ჩელსის" მავანმა ფეხბურთელმა პრესასთან შეხვედრისას იკითხა: „კი მაგრამ, რაში გვჭირდებოდა ბალაკის შეძენა, როცა გუნდში უკვე გვყავდა ფრენკ ლამპარდი?" მას შემდეგ ინგლისურმა გაზეთებმა რამდენჯერმე დაწერეს, რომ „ჩელსიში" კონფლიქტები მძვინვარებს და ლამხვლურები ახალ ფეხბურთელებთან საკმაოდ ცივ ურთიერთობაში არიან.

„მაუს" კონფლიქტებისგან თავი შორს ეჭირა. „ის უკვე ძალიან ცოტას გველაპარაკება" — აღნიშნა პორტუგალიელის ერთ-ერთმა ფავორიტმა მოთამაშემ. მართლაც, შემოდგომიდან მოყოლებული, მაურინიუ თითქოს შეცვალესო, „კობჰემის" საწვრთნელ ბაზაზე უჩვეულოდ წყნარი და ფიქრებში ჩაფლული ცხადდებოდა. ხსენებული ასისტენტი აცხადებს, ჟოზე თავის სამუშაოს ძველებურად ფანტასტიკურად ვეღარ ეკიდება და „სტემფორდ ბრიჯიდან" წასვლა უკვე გასულ ზაფხულს უნდოდაო.

**ლადო ხომერიკი**

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჩარლტონი | : | მიდლსბრო |
| ჩელსი | : | უიგანი |
| მანჩესტერი | : | ასტონ ვილა |
| შეფილდი | : | პორტსმუთი |
| უოტფორდი | : | ლივერპული |
| ვესტ ჰემი | : | ფულემი |
| ბლექბერნი | : | არსენალი |
| ბოლტონი | : | სიტი |
| **ხვალ** | | |
| ევერტონი | : | რედინგი |
| ტოტენჰემი | : | ნიუკასლი |

## ინგლისი




შესაძლოა, ჰენრიკ ლარსონის პრემიერლიგური დებიუტი დღეს შედგეს

**„ჩელსიზე"** ამბობენ, კრიზისშიაო და ეს შეიძლება ვინმემ დაიჯეროს კიდეც, მაგრამ არა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელიც ლონდურ კლუბს ექვსი ქულით უსწრებს და ჩათვლემის უფლება არ აქვს, რადგან ჩემპიონობა სურს.

ჟოზე მაურინიუს გუნდმა ამ თვეში მოიკოჭლა, რაც რამდენიმე მთავარი ფეხბურთელის ტრავმის ბრალია. ამას ზოგიერთი მოთამაშის დისკვალიფიკაციასაც თუ დავუმატებთ, ყველაფერი მაურინიუს წინააღმდეგ მოქმედებს. მიუხედავად ამისა, „ჩელსი" დღეს „უიგანთან" სამი ქულისთვის ითამაშებს, რათა ლიდერთან სხვაობა შეინარჩუნოს მაინც, ხოლო „მანჩესტერი" „ასტონ ვილას" უმასპინძლებს, რომელსაც ერთი კვირის წინ ასოციაციის თასზე 2:1 მოუგო.

„მანჩესტერის" კაპიტანი გარი ნევილი და მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ამბობენ, რომ პრემიერლიგის ჩემპიონის ვინაობა მხოლოდ სეზონის მიწურულს გაირკვევა. „ჩელსი" უეჭველად ბოლომდე იბრძოლებს — განაცხადა ფერგიუსონმა — მთავარია, ჩვენ შევინარჩუნოთ ამჟამინდელი ფორმა. თუ ამას შევძლებთ, მდევრები ვეღარ შეგვაწუხებენ".

შესაძლოა, დღეს პრემიერლიგაში ჰენრიკ ლარსონის დებიუტი შედგეს, რომელიც „მანჩესტერმა" „ჰელსინგბორგიდან" სამი თვით ითხოვა. ლარსონმა უკვე მოასწრო გოლის გატანა „ასტონ ვილასთან" სათასო შეხვედრაში.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მომდევნო ტურში „ლივერპული" — „ჩელსის" მასპინძლობს, ხოლო „არსენალი" — „მანჩესტერს" და ამის გათვალისწინებით, პრემიერლიგის ლიდერებისთვის დღევანდელ მატჩებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გარი ნევილმა უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პრემიერლიგის ჩემპიონის ვინაობა უახლეს ათ დღეში გაირკვევა: „სულ ცოტა, მარტამდე დიდი ბრძოლა გველის, რადგან ამჟამად მხოლოდ ნახევარი გზა გავიარეთ. რბოლა არ დასრულებულა, პირიქით, გადამწყვეტი ბრძოლების დრო მოვიდა. მარტსა და აპრილში სანაკრებო თამაშებიც გველის და სწორედ იქ გამოჩნდება, ვინ იქნება უკეთეს ფორმაში. ამას ჩემპიონთა ლიგას და ასოციაციის თასის მატჩებსაც თუ დავუმატებთ, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაგვიჭირდება".

ჟოზე მაურინიუს „უიგანთან" კვლავ არ ეყოლება მთავარი მცველი ჯონ ტერი, რომლის არყოფნაშიც გუნდის დაცვა შესამჩნევად გაიბზარა. ტერი კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში დააკლდება გუნდს. „უიგანთან" ძირითად შემადგენლობაში იქნებიან რიკარდო კარვალიუ და დიდიე დროგბა, რომლებმაც „უიკომბთან" სათასო მატჩში დაისვენეს.

**ირაკლი ნინიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 3:0 | 1:0 | 3:0 | 3:2 | 3:1 | | 5:1 | | 2:0 | | | 3:1 | | | | 22 | 17 | 3 | 2 | 49:15 | 54 | 9 | 1 | 1 | 26:7 | 28 | 8 | 2 | 1 | 23:8 | 26 |
| 2 | ჩელსი | | | 1:0 | 1:1 | | 2:1 | | | 2:2 | 3:0 | | 2:2 | 1:1 | 1:0 | | | | 1:0 | 2:1 | 4:0 | 22 | 14 | 6 | 2 | 37:17 | 48 | 7 | 4 | 0 | 20:8 | 25 | 7 | 2 | 2 | 17:9 | 23 |
| 3 | ლივერპული | | | | | 3:0 | 0:0 | 3:0 | | 2:0 | 1:0 | 1:1 | 4:0 | 3:1 | 2:0 | | | | 2:1 | | 2:0 | 22 | 12 | 4 | 6 | 32:16 | 40 | 9 | 2 | 0 | 23:3 | 29 | 3 | 2 | 6 | 9:13 | 11 |
| 4 | არსენალი | | | 3:0 | | | 2:2 | 3:0 | 1:1 | | | 6:2 | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | | | 4:0 | 3:0 | 22 | 11 | 6 | 5 | 41:19 | 39 | 6 | 5 | 0 | 28:8 | 23 | 5 | 1 | 5 | 13:11 | 16 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 2:0 | 3:1 | | 3:2 | 2:0 | | | | | | | 2:1 | 0:0 | | 0:1 | 4:0 | | 1:0 | 22 | 12 | 3 | 7 | 27:21 | 39 | 7 | 1 | 3 | 17:10 | 22 | 5 | 2 | 4 | 10:11 | 17 |
| 6 | პორტსმუთი | | | | | 0:1 | | 1:1 | 2:0 | 3:1 | | 3:0 | 1:1 | 2:2 | | | 3:1 | 1:0 | 2:0 | | 2:1 | 22 | 10 | 6 | 6 | 33:22 | 36 | 7 | 3 | 1 | 20:8 | 24 | 3 | 3 | 5 | 13:14 | 12 |
| 7 | ტოტენჰემი | | 2:1 | 0:1 | | | 2:1 | | 0:2 | | | | 0:0 | 2:1 | | 2:1 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 5:1 | | 22 | 9 | 5 | 8 | 26:28 | 32 | 8 | 1 | 2 | 19:9 | 25 | 1 | 4 | 6 | 7:19 | 7 |
| 8 | ევერტონი | | 2:3 | 3:0 | | 1:0 | | | | | 1:1 | | | 0:1 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 2:0 | | 2:1 | 22 | 8 | 7 | 7 | 28:22 | 31 | 6 | 3 | 2 | 18:8 | 21 | 2 | 4 | 5 | 10:14 | 10 |
| 9 | რედინგი | 1:1 | 0:1 | | 0:4 | 1:0 | | 3:1 | 0:2 | | 1:0 | 1:2 | | | | 3:2 | | | 6:0 | 2:0 | | 22 | 9 | 3 | 10 | 30:30 | 30 | 6 | 1 | 4 | 18:13 | 19 | 3 | 2 | 6 | 12:17 | 11 |
| 10 | სიტი | | | | 1:0 | 0:2 | 0:0 | 1:2 | 2:1 | | | | 3:1 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | | 2:0 | | 0:0 | 22 | 8 | 5 | 9 | 19:25 | 29 | 5 | 4 | 2 | 10:6 | 19 | 3 | 1 | 7 | 9:19 | 10 |
| 11 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 1:0 | | 0:1 | | 1:1 | 1:1 | | 4:2 | | 2:0 | | 1:3 | 2:1 | | 2:1 | | | | 21 | 8 | 4 | 9 | 24:29 | 28 | 5 | 2 | 4 | 14:13 | 17 | 3 | 2 | 5 | 10:16 | 11 |
| 12 | ფულემი | | 0:2 | | 2:1 | 1:1 | | | 1:0 | 0:1 | | | | | | 2:1 | 1:0 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 22 | 6 | 9 | 7 | 22:32 | 27 | 5 | 3 | 3 | 9:8 | 18 | 1 | 6 | 4 | 13:24 | 9 |
| 13 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | | | 0:1 | | 1:1 | | 2:1 | 1:3 | 2:0 | 1:1 | | 2:0 | 1:1 | | | | 2:0 | | 22 | 5 | 11 | 6 | 23:25 | 26 | 4 | 4 | 3 | 12:11 | 16 | 1 | 7 | 3 | 11:14 | 10 |
| 14 | ნიუკასლი | 2:2 | | | | 1:2 | 1:0 | 3:1 | 1:1 | 3:2 | | | 1:2 | | | | 0:1 | 2:1 | | 0:0 | 2:1 | 22 | 7 | 5 | 10 | 23:28 | 26 | 5 | 3 | 3 | 16:13 | 18 | 2 | 2 | 7 | 7:15 | 8 |
| 15 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 0:0 | | | 0:4 | | 2:1 | | | 0:1 | | | 1:0 | | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | | 22 | 6 | 6 | 10 | 21:27 | 24 | 6 | 2 | 3 | 13:11 | 20 | 0 | 4 | 7 | 8:16 | 4 |
| 16 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 2:2 | | | | 1:2 | 0:1 | 0:0 | | 2:2 | | 2:1 | | | | 2:1 | | 22 | 6 | 5 | 11 | 17:29 | 23 | 3 | 4 | 4 | 12:14 | 13 | 3 | 1 | 7 | 5:15 | 10 |
| 17 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:4 | 0:1 | | | | | 1:0 | 4:0 | 0:3 | | 0:0 | | | 0:1 | | | 3:2 | 1:1 | 21 | 6 | 4 | 11 | 23:32 | 22 | 3 | 2 | 6 | 12:18 | 11 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| 18 | ვესტ ჰემი | 1:0 | | | 1:0 | | 1:2 | | | 0:1 | 0:1 | 2:1 | | 1:1 | 0:2 | | 1:0 | 0:2 | | 3:1 | | 22 | 5 | 3 | 14 | 12:33 | 18 | 5 | 1 | 5 | 10:11 | 16 | 0 | 2 | 9 | 2:22 | 2 |
| 19 | ჩარლტონი | 0:3 | | 0:3 | 1:2 | 2:0 | 0:1 | | 1:1 | | 1:0 | 1:0 | 2:2 | 2:1 | | | | | | | 0:0 | 22 | 4 | 4 | 14 | 17:40 | 16 | 4 | 3 | 4 | 10:13 | 15 | 0 | 1 | 10 | 7:27 | 1 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | | 1:2 | | | 0:0 | | 0:0 | | | 3:3 | 0:0 | | 2:0 | 0:1 | : | 1:1 | | | 20 | 1 | 9 | 10 | 12:26 | 12 | 1 | 5 | 3 | 8:9 | 8 | 0 | 4 | 7 | 4:17 | 4 |

# იუვემ კიჟა გამოაჩინა

## ბებერმა პალერმოს ბარძალი ჩამოაჭრა

**იტალიური** და ესპანური პრესა სენსაციურად აცხადებს, რომ 30 წლის ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო შესაძლოა „იუვენტუსში“ აღმოჩნდეს. „კიჭას“ სხვა მსურველებიც ჰყავს, მაგრამ მას მერე, რაც „მილანმა“ მისი დამატების ვარიანტი იუარა, ალაპარაკდნენ, რონალდო „ბებერ ქალბატონს“ მიაშურებსო.

ჭორების თანახმად, ამ ტრანსფერით **NIKE** ყოფილა დაინტერესებული, რომელიც „იუვენტუსის“ სპონსორია და პირადად რონალდოსთანაც აკავშირებს კონტრაქტი. ამბობენ, **NIKE** მზად არის, ამჟამად არცთუ სახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ „იუვეს“ ტრანსფერის გასაჩარხად გარკვეული ფულადი დახმარებაც გაუწიოსო.

„კიჭას“ „რეალიდან“ წასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. პირინეული ჟურნალ-გაზეთები იმასაც კი წერენ, შესაძლოა, ეს იანვარში მოხდესო. ბრაზილიელი ვარსკვლავის მსურველებად მილანის „ინტერი“, ბრაზილიური „ფლამენგო“, არაბული „ალ იტიჰადი“, ინგლისური „პორტსმუთი“ და „ნიუკასლი“ და სხვა კლუბებიც სახელდებიან.

აქამდე რონალდოს მთავარ მწვრთნელად მიჩნეული „მილანი“ კი სიიდან „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ამოშალა: „ჩვენ ფორვარდს არ ვეძებთ. ერთადერთი მოლაპარაკება ახლა „ლაციოსთან“ მიმდინარეობს მასიმი ოდოს ტრანსფერის შესახებ“.

თუ რონალდოს „იუვენტუსში“ გადასვლა ძალიან საეჭვო ამბავია, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან „პალერმოს“ მცველი ანდრეა ბარძალი „ბებერი ქალბატონის“ წევრი გახდება. მოგეხსენებათ, ტურინელები 25 წლის ფეხბურთელს დიდი ხანია, უტრიალებენ.

„გუნდებს შორის სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია და სავსებით შესაძლებელია, ანდრეა ივლისში „იუვენტუსის“ ფეხბურთელი გახდეს. ტურინელებს ბევრი ისეთი მოთამაშე ჰყავთ, რომელსაც „პალერმო“ ფულთან ერთად ბარძალის სანაცვლოდ ისურვებს. მაგალითად, კლაუდიო მარკიზიო, რაფაელე პალადინო, დომენიკო კრიშიტო და პაოლო დე ჩელიე. ამ ტრანსფერის იანვარში განხორციელებას გამოვრიცხავ“ — თქვა ბარძალის აგენტმა კლაუდიო ორლანდინიმ.

კიდევ ერთი მცველი, რომლითაც შესაძლოა „იუვენტუსი“ მომავალ ზაფხულს გაძლიერდეს ჟაკ ფატია, „რომას“ მცველ რიკარდო ფატის უმცროსი ძმა. 22 წლის ცენტრალური მცველი ფრანგულ „რენში“ თამაშობს და 3-4 მილიონ ევროდ ფასდება.

„ივნისში“ ალბათ ტურინში ჩავალ და იმედია, „იუვენტუსთან“ კონტრაქტს გავაფორმებ. ჩემი ძმა „რომაში“ თამაშობს და იგი ტურინელებზე ბევრ რამეს მომიყვა. „იუვეში“ სიამოვნებით ვითამაშებდი. დიდიე დეშანი ძალიან ჭკვიანი მწვრთნელია, იგი კარგად მიცნობს და მოვწონვარ კიდეც“ — თქვა ფატიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**





რონალდომ და ბარძალმ ეგებ ერთ გუნდშიც ითამაშონ




ბლატერი იუჰანსონს: ჩემი შენ გითხარიო...

# აქამდე სად იყავი?

**ფიფას** პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ლენარტ იუჰანსონს საქციელი დაუწუნა — უეფას პრეზიდენტობას კიდევ თუ აპირებდა, კანდიდატურა ადრევე უნდა წაეყენებინა, დაიგვიანაო. „ეს პატივისცემის საკითხია. თუკი კვლავ სურდა არჩევნებში მონაწილეობა, ადრე უნდა გაემხილა“ — ბრძანა ბლატერმა.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ფიფას პრეზიდენტმა ცხრა წლის წინ, როცა არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, გაცილებით გვიან შეიტანა განაცხადი პრეზიდენტობაზე, ვიდრე ეს იუჰანსონმა ამჟამად გააკეთა.

1998 წელს, როცა ფიფას პრეზიდენტის ადგილი ვაკანტური გახდა ჟოაო აველანჟის წასვლის შემდეგ, ლენარტ იუჰანსონმა თავისი განაცხადი 17 იანვარს გააკეთა, არჩევნები კი 8 ივნისს იყო დანიშნული. თავის მხრივ, ბლატერმა, რომელიც იმ დროს ფიფას გენერალური მდივანი გახდათ, 30 მარტს შეიტანა განაცხადი ანუ 10 კვირის დაგვიანებით და ივნისში ფიფას პრეზიდენტის არჩევნები მოიგო.

რაც შეეხება უეფას პრეზიდენტის არჩევნებს, წლეულს 26 იანვარს გაიმართება და ერთმანეთს მიშელ პლატინი და ლენარტ იუჰანსონი შეეჭიდებიან. შვედი შარშან გამუდმებით იმეორებდა, რომ კენჭს აღარ ვიყრიდა, მაგრამ გადაიფიქრა და 11 ივლისს კანდიდატურა ოფიციალურად წარადგინა. ხოლო პლატინიმ თავისი ამბიცია წელიწადნახევრის წინ გაამხილა და იუჰანსონზე გვიან, 24 ივლისს შეიტანა განცხადება.

კითხვაზე, თუ ვის უჭერს მხარს, პლატინის თუ იუჰანსონს, ბლატერმა ბრძანა, ეს ჩემი საქმე არაა, მე უფრო ფეხბურთელები მაინტერესებს, ვიდრე ჩინოვნიკებიო.

**ირაკლი ნინიძე**

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | : | პარმა |
| ტორინო | : | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | ასკოლი |
| ატალანტა | : | ლივორნო |
| კიევო | : | კატანია |
| ლაციო | : | სიენა |
| მილანი | : | რეჯინა |
| მესინა | : | რომა |
| სამპდორია | : | ფიორენტინა |
| პალერმო | : | უდინეზე |



გატუზო ხვალ ვერ ითამაშებს

# იტალია

## რეკორდის ზღვარზე

**მილანის** „ინტერმა“ სერია **A**-ში ზედიზედ 11 მატჩი მოიგო, რითაც „რომას“ რეკორდი გაიმეორა, მის გასაუმჯობესებლად კი „ნეროაძურიმ“ დღეს ტურინში „ტორინოს“ უნდა მოუგოს.

„ტოროს“ თავკაცი ალბერტო ძაკერონი, რომელიც თავის დროზე „ინტერსაც“ წვრთნიდა, მრისხანე მეტოქესთან ქულას მაინც გეგმავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კლუბებს შორის ტურინში გამართული ბოლო ხუთი შეხვედრა „ინტერმა“ ისე მოიგო, გოლიც არ გაუშვია.

ძაკერონი სიმონე მარონეს, ჯანლუკა კომოტოსა და ანდრეა არდიტოს ვერ დაიხმარს, რობერტო მანჩინის კი ფაბიო გროსო, ვალტერ სამუელი, ხულიო რიკარდო კრუზი და ალვარო რეკობა არ ეყოლება.

„ინტერისგან“ შვიდი ქულით უკან მყოფი „რომა“ სიცილიაზე „მესინას“ სტუმრობს, რომელმაც სეზონი ბრწყინვალედ კი დაიწყო, მაგრამ მთავარმეგოლე კრისტიან რიგანო რომ დაუშავდა, კრიზისმაც იჩინა თავი და ახლა აუტსაიდერთა შორისაა. რიგანო ახლახან მომჯობინდა და „გლადიატორებთან“ მატჩში ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება. ერთი სიტყვით, დედაქალაქელებს სამ ქულას ლანგრით არავინ მიართმევს, მაგრამ მათ მაინც უნდა მოიგონ, თუ „ნეროაძურისთან“ სკუდეტოსთვის ჭიდილის გაგრძელება სურთ.

ლუჩანო სპალეტის ამოცანის შესრულება ჟილბერტო მარტინესის, მირკო ვუჩინიჩის, მარკო კასეტისა და ალბერტო აკილანის გარეშე მოუწევს. იგი ალბათ შეცვლაზე მაინც ათამაშებს „ვალენსიადან“ ნათხოვარი „ემპოლის“ ექსფორვარდ ფრანჩესკო ტავანოს.

„პალერმო“ საკუთარ „რენცო ბარბერაზე“ „უდინეზეს“ მასპინძლობს. ორივე გუნდი ზამთრის შესვენებამდე არცთუ კარგ ფორმაში იყო. შესაბამისად, სიცილიელებიც და უდინელებიც ახალი წლის პირველ მატჩში კარგი შედეგის მიღწევას ეცდებიან. „ფრიულის“ ბინადართა ნახევარმცველის სულეი ალი მუნტარის დისკვალიფიკაციას თუ არ ჩავთვლით, ორივე გუნდის შემადგენლობა საბრძოლოა.

ნელ-ნელა ფერსმოსული „მილანი“ კი „რეჯინას“ მასპინძლობს და, ცხადია, გამარჯვებას გეგმავს. თუმცა რეჯო კალაბრიელები ხელწამოსაკრავი მეტოქენი არავისთვის არიან და ამ სეზონს ბრწყინვალედ ატარებენ. კალჩოპოლისგან შემორჩენილი მინუს 11 ქულა რომ არა, ვალტერ მატარის გუნდი ახლა გაცილებით წინ იქნებოდა.

დიდას, ალესანდრო ნესტას, ჯუზეპე კაფუ... 

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 18 | 15 | 3 | 0 | 38:15 | 48 |
| რომა | 18 | 13 | 2 | 3 | 40:15 | 41 |
| პალერმო | 18 | 11 | 2 | 5 | 35:23 | 35 |
| კატანია | 17 | 7 | 5 | 5 | 25:31 | 26 |
| ლაციო | 18 | 8 | 4 | 6 | 29:17 | 25 |
| სამპდორია | 18 | 6 | 5 | 7 | 28:26 | 23 |
| უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 19:21 | 23 |
| ემპოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 14:17 | 22 |
| ლივორნო | 18 | 5 | 7 | 6 | 18:24 | 22 |
| ტორინო | 18 | 5 | 7 | 6 | 14:20 | 22 |
| ატალანტა | 18 | 5 | 6 | 7 | 27:29 | 21 |
| მილანი | 18 | 7 | 7 | 4 | 22:16 | 20 |
| სიენა | 18 | 4 | 9 | 5 | 15:19 | 20 |
| ფიორენტინა | 18 | 10 | 3 | 5 | 30:17 | 18 |
| კალიარი | 18 | 2 | 10 | 6 | 14:21 | 16 |
| მესინა | 18 | 3 | 6 | 9 | 19:32 | 15 |
| კიევო | 18 | 3 | 5 | 10 | 18:27 | 14 |
| რეჯინა | 18 | 6 | 5 | 7 | 23:25 | 12 |
| პარმა | 18 | 2 | 6 | 10 | 16:33 | 12 |
| ასკოლი | 18 | 1 | 6 | 11 | 13:29 | 9 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

...ლისა და სერჟინიოს ტრავმებს ჯენარო გატუზოს დისკვალიფიკაციაც დაერთო. ამიტომ კარლო ანჩელოტის თავისთვის შედარებით უჩვეულო და უფრო შემტევი ტაქტიკით 4-3-1-2-ით მოუწევს თამაში. გამოკვეთილი ფორვარდების რიკარდო ოლივეირასა და ალბერტო ჯილარდინოს უკან კაკა იქნება.

საინტერესო მატჩია გენუაშიც, ფორმაში შესული „სამპდორია“ ასევე წარმატების გზაზე მყოფ „ფიორენტინას“ მასპინძლობს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბექემი შეყვარებული ბრეცკია
## უძვირფასესი ინგლისელი კალიფორნიაში


ეროვნული ბიბლიოთეკა
ბექემიანთ ოჯახი კალიფორნიაში დაისვენებს

**ამერიკულმა** შოუ ბიზნესმა თამამად გაუღო კარი ახალ ვარსკლავს: მეიჯორ ლიგის „ლოს ანჯელეს გალაქსიმ“ ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა დევიდ ბექემს, რომელიც წელიწადში 50 მილიონ, ჯამურად კი 250 მილიონ დოლარს მიიღებს. ბექემი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნაცნობი სახეა და კალიფორნიელებს ზაფხულში შეუერთდება, მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტის გასრულების შემდეგ.

„ეს დიდი დღეა ამერიკის ფეხბურთისთვის. ბექემი თამაშის პოპულარობას გაზრდის — თქვა „გალაქსის“ მფლობელ „სიიოუს“ კონცერნის პრეზიდენტმა ტიმ ლიუაკმა — ლოს ანჯელესისთვის კი ეს ყველაზე დიდი კონტრაქტია, მას შემდეგ, რაც იქაურ ჰოკეის გუნდ „კინგსში“ უეინ გრეცკი გადავიდა „ედმინტონ ოილერსიდან“. მაშინ გრეცკიმ 15 მილიონი მიიღო“.

„მთავარი გავლენა ის იქნება, რომ დევიდი ბევრს აიყოლიებს. თამაშით მეტი ხალხი დაინტერესდება, მაცქერალიც და მოთამაშეც“ — განაცხადა ლიუაკმა.

ბექჰის ცოლი ვიქტორია კი სულ იოლად გაერევა ჰოლივუდის გლამურში.

„ბექემის მოყვანით ჩვენ საერთაშორისო ბრენდი ვხდებით — ამბობს ლიუაკი — ჩვენ აზიურ ტურებსაც მოვაწყობთ. უკვე გუშინ საინტერესო წინადადებებით მოგვმართეს. „ჩელსისან“ ერთად ტურნირსაც მოვაწყობთ, ზაფხულისთვის ახალი ლოგო და ახალი ბრენდი გვექნება“.

კონტრაქტის დეტალები უცნობია, თუმცა „გალაქსის“ უფროსობამ თქვა, რომ ბექემის ხელფასი უმეტეს ნაწილს მინდორსგარეთა შემოსავლები ფარავს.

ჯერ არაფერი მომხდარა, ბექემიც ზაფხულამდე მადრიდშია, მაგრამ გუშინ დილით „გალაქსის“ მომავალი სეზონის წლიური აბონიმენტი უკვე ათასმა კაცმა იყიდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ესპანეთი

## ორი კაცის დაბრუნება


დეკუ და რონალდინიო

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ესპანიოლი | : | ბარსელონა |
| ვალენსია | : | ლევანტე |
| **ხვალ** | | |
| ოსასუნა | : | ბეტისი |
| რასინგი | : | სოსიედადი |
| ბილბაო | : | ვილიარეალი |
| სევილია | : | მალიორკა |
| რეალი | : | სარაგოსა |
| უელვა | : | დეპორტივო |
| ხიმნასტიკი | : | ხეტაფე |
| სელტა | : | ატლეტიკო |

**პრიმერადივიზიონის** მეთვრამეტე ტურში „ვალენსია“ „ლევანტეს“ უმასპინძლებს. „ღამურებმა“ სამეფო თასის ამასწინდელი შეხვედრა „ხეტაფესთან“ ფრედ დაასრულეს. ახლა ისინი „მესტალიაზე“ შეეცდებიან ქულათა მარაგის შევსებას და გულშემატკივართა ნდობის დაბრუნებას. კიკე ფლორესის არმადა დღეს პრიმერაში მეექვსეა, ხოლო „ლევანტეს“ სეგუნდაში გასავარდნ ადგილებს ორქულიანი ინტერვალი აშორებს. ლოპეს კაროს ბიჭებმა წინა ტურში სანტანდერის „რასინგს“ მოუგეს. სტუმართაგან კაპო ვერ ითამაშებს, დაჯარიმებულია.

დღესვე „მონჟუიკზე“ ბარსელონური დერბი გაიმართება. „ესპანიოლსა“ და „ბარსელონას“ შორის ომები ყოველთვის დიდი სიფიცხითა და დაუნდობლობით გამოირჩევა და გამონაკლისი ალბათ არც ამჯერად იქნება. „ესპანიოლმა“ 2007-ის კამპანია კარგად ვერ დაიწყო და ახლა უნდა, მოსისხლე მტრის გამწარებით მოულბოს ინჩასებს გული. მასპინძლებს, სანქცირებული, საბალეტა გამოაკლდებათ, სტუმრებს კი გამოჯანსაღებული დეკუ და რონალდინიო დაუბრუნდნენ. ამ ორს 2007 წელს ჯერ არ უთამაშიათ. „ბარსამ“ ბოლო ორი მატჩი ფრედ დაასრულა, მაგრამ მაინც მეორე ადგილზეა, „ბარსამ“ ბოლო ორი მატჩი ფრედ დაასრულა, მაგრამ მაინც მეორე ადგილზეა, ლიდერ „სევილიას“ ოდენ 3 ქულით ჩამორჩება და ერთი თამაშიც სხვებზე ნაკლები აქვს.

ტარაგონას „ხიმნასტიკი“ კვირას „ხეტაფეს“ მიიღებს. „ხიმნასტიკი“ პრიმერას მაჩანჩალაა და მის მწვრთნელ პაკო ფლორესს იმედი აქვს, კრიზისიდან თავის დაღწევაში ახალწვეულები, სეზარ ნავასი და კალვო დაგვეხმარებიანო. ბერნად შუსტერის „ხეტაფეს“ დაჯარიმებული ალექსისი დააკლდება.

„რეალთან“ კოპა დელ რეიზე უგოლო ფრის გამხერხებელი „ბეტისი“ ხვალ „რეინო დე ნავარაზე“ „ოსასუნას“ სტუმრობს. ნავარელებმა წინა კვირას წყალწალებულ „სოსიედადთან“ წააგეს და ბასკთაგან დაკოდილები ანდალუზიელებს რთულ ომს გაუმართავენ. ლუის ფერნანდესის „ბეტისს“ კი სეგუნდას საფრთხისგან თავის დაღწევა უნდა. ერთი სიტყვით, რთული ბრძოლაა მოსალოდნელი.

სანტანდერის „რასინგი“ „სოსიედადს“ ფერნანდო კავენაგის მოლოდინში შეხვდება — კანტაბრიელები მოსკოვის „სპარტაკის“ არგენტინელის გზდმობირებას სასოებით მოელიან. „რასინგი“ წინა ტურში „ლევანტესთან“ შერცხვა და კარგი შანსი აქვს, ჯავრი გაჭირვებულ „სოსიედადზე“ იყაროს. ბასკებს ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ახლები, ხერმან ერერა და სავიო შეემატნენ.

„ბილბაო“ „ვილიარეალთან“ ჯახში ტრავმირებულ ნახევარმცველ უსტარიცს მოიაკლისებს, „ყვითლებს“ კი დაჯარიმებული არაუაბარენა ვერ დაეხმარებათ.

„სევილიამ“ მეჩვიდმეტე ტურში „სარაგოსასთან“ წააგო, მაგრამ ცხრილში მაინც პირველ ადგილზეა. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ 2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო კლუბად შერაცხულ „სევილიას“ „მალიორკასთან“ მატჩში დაჯარიმებული ლუიშ ფაბიანუ დააკლდება. „მალიორკა“ კი დალხინებულად ვერაა, ბოლო ორი თამაში წააგო.

„ნუევო კოლომბინოზე“ ერთმანეთს მადრიდის „რეალის“ შარშანდელი და წლევანდელი მაოხრებლები ხვდებიან — „უელვამ“ სამეფო გუნდი 2006-ის ბოლო შეხვედრაში გაამწარა, ხოლო „დეპორტივომ“ „რეალს“ 2007-ის პირველ მატჩში მოუგო. „უელვას“ საევროტურნირო ადგილებამდე ორი ქულა აკლია.

„სელტა“ ძალებს მადრიდის „ატლეტიკოსთან“ მოსინჯავს, მეორე დედაქალაქური არმადა, „რეალი“ კი „სარაგოსას“ მასპინძლობს. „სელტას“ არ ეყოლება სანქცირებული ანხელი და პაბლო გარსია, ხოლო „ატლეტიკოს“ ასევე დაჯარიმებულები პაბლო, გაბი და პერნია ვერ დაეხმარებიან. კრიზისში ჩავარდნილი „რეალი“ სანქცირებული სერხიო რამოსის და სალგადოს გარეშე იქნება, სარაგოსელებს კი დიოგო ჰყავთ წითელბარათიანი.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სევილია | | | 2:1 | | 3:0 | | | 2:0 | 1:0 | | | | | 4:0 | | 4:0 | | 3:2 | | 2:1 | 17 | 12 | 1 | 4 | 36:17 | 37 | 8 | 0 | 0 | 21:4 | 24 | 4 | 1 | 4 | 15:13 | 13 |
| 2 | ბარსელონა | 3:1 | | | 3:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | 3:0 | | | 4:0 | | | | | | | | 1:0 | | 16 | 10 | 5 | 1 | 35:13 | 35 | 6 | 2 | 0 | 19:4 | 20 | 4 | 3 | 1 | 16:9 | 15 |
| 3 | რეალი | | 2:0 | | | | 1:1 | 0:3 | | | | 0:0 | 1:2 | 3:1 | | 2:1 | | | | 2:0 | | 17 | 10 | 2 | 5 | 26:16 | 32 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 | 6 | 0 | 3 | 15:8 | 18 |
| 4 | სარაგოსა | 2:1 | | | | 0:1 | | | 1:2 | 3:1 | 3:0 | | | | | | 2:2 | 2:0 | 2:1 | | 3:0 | 17 | 9 | 3 | 5 | 30:19 | 30 | 6 | 1 | 2 | 18:8 | 19 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| 5 | ვალენსია | | | 0:1 | | | | | 1:0 | 2:0 | | | | | 4:0 | 1:1 | | 3:1 | 2:1 | | 4:0 | 17 | 9 | 3 | 5 | 24:15 | 30 | 6 | 1 | 1 | 17:4 | 19 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| 6 | ატლეტიკო | 2:1 | | | 0:1 | 0:1 | | 2:1 | | 1:0 | 1:2 | 3:1 | | | | | | | | 1:1 | 0:0 | 17 | 8 | 5 | 4 | 21:12 | 29 | 4 | 2 | 3 | 10:8 | 14 | 4 | 3 | 1 | 11:4 | 15 |
| 7 | უელვა | 1:3 | | | | 2:0 | | | 2:0 | 1:2 | | | | | | | 0:1 | 1:1 | 2:0 | | 2:1 | 17 | 9 | 1 | 7 | 27:24 | 28 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 | 5 | 0 | 4 | 16:16 | 15 |
| 8 | ოსასუნა | | | 1:4 | | | | | | 0:2 | | | | 0:1 | 4:1 | 1:1 | 2:1 | 3:0 | | | 2:0 | 17 | 7 | 2 | 8 | 22:22 | 23 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 13 | 3 | 1 | 5 | 9:12 | 10 |
| 9 | ხეტაფე | | 1:1 | 1:0 | | | | | | | 0:1 | | | 1:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | | 17 | 6 | 5 | 6 | 12:12 | 23 | 4 | 4 | 1 | 7:3 | 16 | 2 | 1 | 5 | 5:9 | 7 |
| 10 | ესპანიოლი | 2:1 | | 0:1 | | 1:1 | | 0:1 | 0:0 | | | | 2:1 | 2:2 | | 3:2 | | | | | 0:1 | 17 | 5 | 7 | 5 | 15:17 | 22 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 | 2 | 4 | 2 | 5:7 | 10 |
| 11 | ვილიარეალი | | | | 3:2 | 0:1 | | 0:1 | 1:4 | 1:0 | 0:0 | | | | | | 1:1 | | 3:2 | | 2:0 | 17 | 6 | 4 | 7 | 17:24 | 22 | 4 | 2 | 3 | 11:11 | 14 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| 12 | სელტა | 1:2 | 2:3 | | 1:1 | 3:2 | | 1:2 | 0:2 | | | 1:1 | | | | | | | | 0:0 | | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 | 1 | 3 | 4 | 9:13 | 6 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| 13 | რასინგი | 0:0 | 0:3 | | 0:2 | 1:0 | 0:1 | 4:3 | | | | 2:1 | 1:1 | | | | | | | | | 17 | 5 | 6 | 6 | 16:22 | 21 | 3 | 2 | 3 | 8:11 | 11 | 2 | 4 | 3 | 8:11 | 10 |
| 13388 | უელვა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13389 | რასინგი-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13390 | სევილია-მალიორკა | 1.90 | 1.70 |
| 13391 | ვალენსია-ლევანტე | 1.90 | 1.70 |
| 13414 | ოსერი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13415 | ბორდო-ლორიანი | 2.00 | 1.60 |
| 13416 | ლე მანი-ტრუა | 2.00 | 1.60 |
| 13417 | ლანსი-ლილი | 2.00 | 1.60 |
| 13418 | ნანტი-ნიცა | 2.00 | 1.60 |
| 13419 | პსჟ-ვალენსიენი | 2.00 | 1.60 |
| 13420 | რენი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13421 | სედანი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13423 | ტულუზი-ლიონი | 2.00 | 1.60 |
| 13555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 14035 | უოტფორდი-ლივერპული | 2.50 | 1.30 |
| 14036 | ევერტონი-რედინგი | 1.70 | 2.20 |
| 14037 | ბოლტონი-სიტი | 1.60 | 2.30 |
| 14038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14039 | ჩელსი-უიგანი | 1.03 | 2.90 |
| 14040 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.03 | 2.90 |
| 14041 | შეფილდი-პორტსმუთი | 1.90 | 1.85 |
| 14042 | ვესტ ჰემი-ფულჰემი | 1.75 | 2.10 |
| 14043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.60 | 2.30 |
| 14044 | ბლეკბერნი-არსენალი | 2.40 | 1.45 |
| 14278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.30 | 2.50 |
| 14279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.30 | 2.50 |
| 14280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.07 | 2.90 |
| 14281 | სტ.მირენი-მაზერველი | 1.80 | 2.00 |
| 14282 | ჰართსი-სელტიკი | 2.30 | 1.60 |
| 14283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 14333 | ემპოლი-პარმა | 1.70 | 2.10 |
| 14334 | ტორინო-ინტერი | 2.50 | 1.30 |
| 14335 | ატალანტა-ლივორნო | 1.70 | 2.20 |
| 14336 | კალიარი-ასკოლი | 1.45 | 2.40 |
| 14337 | კიევო-კატანია | 1.80 | 2.00 |
| 14338 | მესინა-რომა | 2.50 | 1.30 |
| 14340 | პალერმო-უდინეზე | 1.45 | 2.40 |
| 14341 | სამპდორია-ფიორენტინა | 1.95 | 1.85 |
| 14342 | ლაციო-სიენა | 1.30 | 2.50 |
| 14383 | სელტა-ატლეტიკო | 1.90 | 1.90 |
| 14384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 2.40 | 1.38 |
| 14385 | ტარაგონა-ხეტაფე | 1.90 | 1.90 |
| 14386 | ოსასუნა-ბეტისი | 1.65 | 2.20 |
| 14387 | რეალი-სარაგოსა | 1.30 | 2.50 |
| 14388 | უელვა-დეპორტივო | 1.75 | 2.10 |
| 14389 | რასინგი-სოსიედადი | 1.65 | 2.20 |
| 14390 | სევილია-მალიორკა | 1.12 | 2.60 |
| 14391 | ვალენსია-ლევანტე | 1.12 | 2.60 |
| 14414 | ოსერი-სოშო | 1.70 | 2.10 |
| 14415 | ბორდო-ლორიანი | 1.40 | 2.40 |
| 14416 | ლე მანი-ტრუა | 1.60 | 2.30 |
| 14417 | ლანსი-ლილი | 1.70 | 2.10 |
| 14418 | ნანტი-ნიცა | 1.65 | 2.20 |
| 14419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.30 | 2.50 |
| 14420 | რენი-მარსელი | 1.80 | 2.00 |
| 14421 | სედანი-ნანსი | 1.90 | 1.90 |
| 14422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.65 | 2.10 |
| 14423 | ტულუზი-ლიონი | 2.50 | 1.30 |
| 14555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.80 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15035 | უოტფორდი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ევერტონი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | ბოლტონი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15039 | ჩელსი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | შეფილდი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ვესტ ჰემი-ფულჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | ბლეკბერნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | აბერდინი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | სტ.მირენი-მაზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | ჰართსი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15333 | ემპოლი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | ტორინო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15335 | ატალანტა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | კალიარი-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15337 | კიევო-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | მესინა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | მილანი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | პალერმო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | სამპდორია-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ლაციო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15383 | სელტა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15385 | ტარაგონა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15386 | ოსასუნა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15387 | რეალი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15388 | უელვა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15389 | რასინგი-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15390 | სევილია-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ვალენსია-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15414 | ოსერი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15415 | ბორდო-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15416 | ლე მანი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15417 | ლანსი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15418 | ნანტი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15419 | პსჟ-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15420 | რენი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15421 | სედანი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15423 | ტულუზი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15555 | ბილბაო-ვილარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16035 | უოტფორდი-ლივერპული | 5.50 | 1.07 |
| 16036 | ევერტონი-რედინგი | 1.35 | 2.70 |
| 16037 | ბოლტონი-სიტი | 1.22 | 3.50 |
| 16038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.65 | 1.95 |
| 16041 | შეფილდი-პორტსმუთი | 1.85 | 1.75 |
| 16042 | ვესტ ჰემი-ფულჰემი | 1.50 | 2.30 |
| 16043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.22 | 3.60 |
| 16044 | ბლეკბერნი-არსენალი | 2.90 | 1.32 |
| 16278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.25 | 3.30 |
| 16279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.20 | 3.70 |
| 16280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.05 | 7.00 |
| 16281 | სტ.მირენი-მაზერველი | 1.60 | 2.00 |
| 16282 | ჰართსი-სელტიკი | 2.90 | 1.30 |
| 16283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.75 | 1.85 |
| 16333 | ემპოლი-პარმა | 1.40 | 2.50 |
| 16334 | ტორინო-ინტერი | 4.80 | 1.12 |
| 16335 | ატალანტა-ლივორნო | 1.35 | 2.85 |
| 16336 | კალიარი-ასკოლი | 1.15 | 4.20 |
| 16337 | კიევო-კატანია | 1.60 | 2.10 |
| 16338 | მესინა-რომა | 4.20 | 1.15 |
| 16340 | პალერმო-უდინეზე | 1.20 | 3.50 |
| 16341 | სამპდორია-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 16342 | ლაციო-სიენა | 1.17 | 4.10 |
| 16383 | სელტა-ატლეტიკო | 1.75 | 1.85 |
| 16384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4.00 | 1.16 |
| 16385 | ტარაგონა-ხეტაფე | 1.85 | 1.75 |
| 16386 | ოსასუნა-ბეტისი | 1.37 | 2.65 |
| 16387 | რეალი-სარაგოსა | 1.16 | 4.00 |
| 16388 | უელვა-დეპორტივო | 1.50 | 2.25 |
| 16389 | რასინგი-სოსიედადი | 1.45 | 2.40 |
| 16390 | სევილია-მალიორკა | 1.03 | 7.00 |
| 16391 | ვალენსია-ლევანტე | 1.04 | 6.50 |
| 16414 | ოსერი-სოშო | 1.45 | 2.50 |
| 16415 | ბორდო-ლორიანი | 1.18 | 3.80 |
| 16416 | ლე მანი-ტრუა | 1.25 | 3.40 |
| 16417 | ლანსი-ლილი | 1.48 | 2.40 |
| 16418 | ნანტი-ნიცა | 1.45 | 2.40 |
| 16419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.17 | 4.00 |
| 16420 | რენი-მარსელი | 1.60 | 2.10 |
| 16421 | სედანი-ნანსი | 1.80 | 1.80 |
| 16422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.35 | 2.80 |
| 16423 | ტულუზი-ლიონი | 4.20 | 1.17 |
| 16555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.60 | 2.00 |

## გოლი: წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17035 | უოტფორდი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ევერტონი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ბოლტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ჩელსი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17041 | შეფილდი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ვესტ ჰემი-ფულჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17281 | სტ.მირენი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | ჰართსი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17333 | ემპოლი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17334 | ტორინო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17335 | ატალანტა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17336 | კალიარი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17337 | კიევო-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17338 | მესინა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17339 | მილანი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17340 | პალერმო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17341 | სამპდორია-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ლაციო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17383 | სელტა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17385 | ტარაგონა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17386 | ოსასუნა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17387 | რეალი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17388 | უელვა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17389 | რასინგი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17390 | სევილია-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ვალენსია-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17414 | ოსერი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17415 | ბორდო-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17416 | ლე მანი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17417 | ლანსი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17418 | ნანტი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | რენი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17421 | სედანი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17423 | ტულუზი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.85 | 1.95 |

## კალათბურთი

# მეხუთე და ნაღდი

ALL STAR 2007 Las Vegas

**ნბა-მ** გამოაქვეყნა ოლ სტარის გამოკითხვის ბოლო წინასწარი მონაცემები და აღმოჩნდა, რომ ერთ კვირაში „ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ 35 ათასი ხმა მიამატა მანამდელ 130 ათასს. ეს, რა თქმა უნდა, არაა ცოტა, მაგრამ საიმისოდ, რომ ჩვენიანს კონკურენტებისთვის გადაესწრო, საკმარისი არ აღმოჩნდა.

აღმოსავლეთის ცენტრებში სტატუს-კვო შენარჩუნდა. კანდიდატებს შორის დისტანცია კი შეიცვალა, მაგრამ გადაადგილება არ მომხდარა. ლიდერი კვლავ შაკილ ონილია მილიონ 143 ათასი ხმით. მას ორლანდოელი დუაიტ ჰოვარდი მისდევს მითქმის მილიონით და მესამეზეა ჩიკაგოელი ბენ ვოლესი ნახევარი მილიონი ხმით.

ზაზა მეხუთეზეა და წინ მდგომ ალონზო მურნინგს 40 ათასი ხმით ჩამორჩება. ფაჩულია უსწრებს შარშანწინ ოლ სტარში ნაბურთავებ ლიტველ გოლიათ ჟიდრუნას ილგაუსკასს და ისეთ ცნობილ და მზარდ ცენტრებს, როგორებიც არიან ედი კარი, ნაზრ მოჰამედი, ენდრიუ ბოგუტი და ნენად კრსტიჩი.



საყოველთაო ლიდერი კი ისევ იაო მინია, რომელმაც ნბა-ში ფეხის შედგმისთანავე დაიბევა ხუთეულში ადგილი. მინი კარგად იყოს და, სანამ ნბა-ში ითამაშებს, ჩინელი მოსახლეობის წყალობით ოლ სტარის მაისურა არ მოაკლდება.

ხმის მიცემა 21 იანვარს შეწყდება და საბოლოო შედეგები 25-ში გამოქვეყნდება.

**ირაკლი ბერტაია**

### აღმოსავლეთი

**მცველები:** დუეინ ვეიდი (1 371 850), ვინს კარტერი (1 002 709), ჯილბერტ არენასი (788 249)

**ფორვარდები:** ლებრონ ჯეიმსი (1 774 281), კრის ბოში (684 620), ჯერმენ ონილი (621 476)

**ცენტრები:** შაკილ ონილი (1 143 904), დუაიტ ჰოვარდი (978 007), ბენ ვოლესი (519 871), ალონზო მურნინგი (205 832), ზაზა ფაჩულია (165 178)

### დასავლეთი

**მცველები:** კობი ბრაიანტი (1 536 556), ტრეისი მაკგრეიდი (1 331 551), ალენ აივერსონი (1 300 248)

**ფორვარდები:** კევინ გარნეტი (1 068 168), ტიმ დანკანი (1 025 812), დირკ ნოვიცკი (884 160)

**ცენტრები:** იაო მინი (1 775 413), ამარე სტუდემაიერი (727 298), ერიკ დემპიე (283 103)

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ინებეთ კიდი კარგი თეთრი ღვინით

11 იანვარი

**ჩიკაგო 83:86 ნიუ ჯერსი**

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (28), გორდონი (23), ჰაინრიხი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (23 ქულა, 14 მოხსნა, 11 პასი), კარტერი (18 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ჯეფერსონი (14)

**ფინიქსი 109:90 კლივლენდი**

**ფინიქსი:** მერიონი (19 ქულა, 10 მოხსნა), ბელი (18), სტუდემაიერი (17 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), ბარბოსა (16), ნეში (21 პასი)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (34)

ჯეისონ კიდი კარგი ღვინოსავითაა, რაც დრო გადის, მით უკეთესი ხდება. „ნიუ ჯერსი ნეთსის“ 33 წლის გამთამაშებელმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაათამაშა, „ჩიკაგოსთან“ დაძაბულ ბრძოლაში 24 ქულით, 14 მოხსნითა და 11 პასით სეზონში მე-7, კარიერაში კი 82-ე სამმაგი დუბლი შეასრულა. გვერდშიმდგომებიც რომ რიგიანები ჰყავდეს (კარტერს და ჯეფერსონს თუ არ ჩავთვლით), „ნიუ ჯერსი“ ძველებურად ციდან ვარსკვლავებს მოწყვეტდა.

კიდი და მისიანები ახალგაზრდულ „ჩიკაგოსთან“ პირველივე ტაიმში 18 ქულით ჩამორჩნენ, მაგრამ ეს სხვაობა სწორედ თეთრი გამთამაშებლის მარიფათით გააბათილეს. კიდმა შეტევაში ხომ იფრინა, დაცვაშიც ხელ-ფეხი გაუბორკა ჩიკაგოელთა მთავარმექულე ბენ გორდონს და ატლანტიკის დივიზიონში ლიდერობადაკარგული „ნიუ ჯერსისთვის“ მნიშვნელოვანი გამარჯვება გამოჭედა.

ასოციაციის კიდევ ერთი თეთრი დიდვარსკვლავი, კიდის დარად გამთამაშებელი სტივ ნეშიც არ მდგარა უქმად. ხუთშაბათის მეორე თამაშში მისი „ფინიქსი“ შინ ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდს“ დაუხვდა და სასტიკად დაამარცხა. ნეშმა ამ ჯერზე არცთუ ბევრი ჩააგდო, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი პასები არიგა, საკმაოდ მაღალი დონის გუნდს რომ არ უგროვდება ჯამში. ნეში ამ სეზონში მეორედ ასცდა 20-პასიან ნიშნულს და ბოლო 9 წელიწადში პირველი მოთამაშე გახდა, ვინც ეს შეძლო. 9 წლის წინ ორი 20-პასიანი თამაში ჰქონდა აივერი ჯონსონს, რომელიც ამჟამად „დალასის“ მთავარი მწვრთნელია.

ბუნებრივია, რომ როდესაც გუნდში ნეშისთანა მოთამაშეა, ქულების ხვეჭა პრობლემა არ გახდება. ჰოდა, „კლივლენდს“ ერთბაშად ოთხმა ფინიქსელმა ჩაუგდო 16 და მეტი ქულა. სტუმრები კი მხოლოდ ლებრონ ჯეიმსისგან ღებულობდნენ ქულათა ასე თუ ისე სოლიდურ პარტიას, სამი მეოთხედის შემდეგ 32 ქულით აგებდნენ და მე-ნაკლებად საპატიო სხვაობით მხოლოდ იმიტომ დამარცხდნენ, რომ მასპინძლებმა მისცეს ამის ნება.

**კოტე ყორშია**

## ევროლიგა

Euroleague

### პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 10-11 იანვარი

#### A ჯგუფი

**დინამო 95:74 პროკომი**

**დინამო:** ჰანსენი (21), პოპოვიჩი (14)

**პროკომი:** დალმა (13), ბეშოქი (12)

**ეფესი 78:84 ტაუ**

**ეფესი:** პ:·ჰლიპი (23), ჯენკინსი (—?)

**ტაუ:** ერდოგანი (18), სკოლა (17)

**ოლიმპიაკოსი 80:76 ლე მანი**

**ოლიმპიაკოსი:** დომერკანტი (17), ზიზიჩი (16)

**ლე მანი:** კემპბელი (20), ვილერი (20)

**რეინი 78:90 კლიმამიო**

**რეინი:** გორტატი (19), გრიმი (16)

**კლიმამიო:** მანჩინენი (18), იდნი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 11 | 10 | 1 | 104 | 21 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 9 | 2 | 83 | 20 |
| დინამო | 11 | 7 | 4 | 48 | 18 |
| ეფესი | 11 | 6 | 5 | 33 | 17 |
| პროკომი | 11 | 4 | 7 | -35 | 15 |
| ლე მანი | 11 | 3 | 8 | -32 | 14 |
| კლიმამიო | 11 | 3 | 8 | -73 | 14 |
| რეინი | 11 | 2 | 9 | -128 | 13 |

#### B ჯგუფი

**ოლიმპია 87:59 უნიკახა**

**ოლიმპია:** მილიჩი (19), მარკოიშვილი (19 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი)

**უნიკახა:** ვასილიადისი (13), სანჩისი (13)

**ხუვენტუდი 98:98 მაკაბი**

**ხუვენტუდი:** ფერნანდესი (21), ბენეტი (15)

**მაკაბი:** იასაიტიდი (24), ვუიჩიჩი (20)

**ციბონა 89:72 პარტიზანი**

**ციბონა:** რაიტი (16), უორენი (14)

**პარტიზანი:** დრობნიაკი (20), პეროვიჩი (12)

**რომა 69:79 პანათინაიკოსი**

**რომა:** ჰოუკინსი (20), ბოდიროგა (14)

**პანათინაიკოსი:** შიშკაუსკასი (19), იამანტიდისი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 11 | 11 | 0 | %114 | 22 |
| ხუვენტუდი | 11 | 7 | 4 | %81 | 18 |
| მაკაბი | 11 | 6 | 5 | %44 | 17 |
| ციბალია | 11 | 5 | 6 | 0 | 16 |
| პატრიზანი | 11 | 4 | 7 | -48 | 15 |
| რომა | 11 | 4 | 7 | -49 | 15 |
| უნიკახა | 11 | 4 | 7 | -96 | 15 |
| ოლიმპია | 11 | 3 | 8 | -46 | 14 |

#### C ჯგუფი

**ჟალგირისი 70:83 ფენერბაჰჩე**

**ჟალგირისი:** მასიულისი (21), ბერდი (17)

**ფენერბაჰჩე:** სოლომონი (19), კამბალა (18)

**პო ორტეზი 77:62 არისი**

**პო ორტეზი:** იონსენი (12), რაიტი (12)

**არისი:** ვილკინსონი (17), სკეილსი (17)

**ბენეტონი 60:68 ცსკა**

**ბენეტონი:** სორანა (19), ზისისი (10)

**ცსკა:** სმოდიში (17), საგრასენკო (15)

**ნაპოლი 66:64 ბარსელონა**

**ნაპოლი:** მორანდაისი (23), ელისი (30 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა)

**ბარსელონა:** ნავარო (21), ლაკოვიჩი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 10 | 1 | %124 | 21 |
| ბარსელონა | 11 | 8 | 3 | %75 | 19 |
| ბენეტონი | 11 | 6 | 5 | %14 | 17 |
| პო ორტეზი | 11 | 6 | 5 | %2 | 17 |
| არისი | 11 | 5 | 6 | -29 | 16 |
| ფენერბაჰჩე | 11 | 4 | 7 | -33 | 15 |
| ნაპოლი | 11 | 4 | 7 | -68 | 15 |
| ჟალგირისი | 11 | 1 | 10 | -85 | 12 |

# თარო წიგნმა დაამშვენა, წიგნი პრემიამ

**შეჯამდა** ქართული სპორტის დიდი მოამაგის, პროფესორ ავთანდილ ციბაძის სახელობის კონკურსი, რომელიც სპორტული, ოლიმპიური და სპორტული მედიცინის საკითხებზე საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ნაშრომების გამოვლენას ისახავდა მიზნად.

ეს კონკურსი უკვე რამდენიმე წელია ტარდება და მონაწილეები სულ უფრო და უფრო ემატება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული შარშანდელი კონკურსი გამოდგა, რომლის გამარჯვებულნიც გუშინ ოლიმპიურმა კომიტეტმა სიგელებითა და პრემიებით დააჯილდოვა.

სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულნი არიან: დავით კინწურაშვილი („ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე“), დავით გურგენიძე („პირველი საჭადრაკო ნაბიჯები“, „ვისწავლოთ ენდშპილი“), თეიმურაზ მიქიაშვილი („ადაპტური სპორტის ისტორია და სპორტულ სამედიცინო კონტროლი“), გარუნ აკოფოვი („ქართული კალათბურთი“), ელგუჯა ბერიშვილი („ფალავანთფალავანი გივი კარტოზია“), ქეთევან ბერიძე, ზურაბ კახაბრიშვილი („სპორტული შრომისუნარიანობის აღდგენის თანამედროვე პროცესები და საფუძვლები“), თამარ მჭედლიშვილი („სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი“), გივი დვალი („სპორტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“), ჯემალ კვანტალიანი („კრივი“), ვაჟა დანელია („კვარცხლბეკიდან დანახული სამშობლო“), გივი ყირმელაშვილი („ადამიანთა ურთიერთობის საიდუმლო“; „სპორტული ასპარეზობის საზეიმო რიტუალი“ და სხვა პუბლიკაციები...)

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## სუმო



# მინუს ორი

**კოკუგიკანური** ბაშოს მეექვსე ტურში ლევან ცაგურიამ მორიგი მარცხი იწვნია და უარყოფითი ბალანსის მესამედ გაბათილების შანსი დაკარგა. ქართველმა კოკაიმ თავისსავით ექსკომუსუბი ფუტენოს ჯიქურ შეუტია, მაგრამ ზედმეტმა მონდომებამ დააზარალა — ინერციით არენის მიღმა აღმოჩნდა.

იმპერატორის თასთან ყველაზე ახლოს კი კვლავ რიგითი მაეგაშირა ტამაკასუგაა. წაუგებელი სერია მან გუშინ დაბალრეიტინგიან კაკიძოესთან გააგრძელა. ბაშოს ორგანიზატორები მაინც ძველ აზრზე არიან — ექვსქულიანი პირველადგილოსნის საჩემპიონო შანსებს არ დაგიდევენ და ძლიერ მოწინააღმდეგეებს შეგნებულად არიდებენ. დღეს ტამაკასუგას პირისპირ აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა ტოსანოუმი დადგება. ლიდერს კვალში ხუთი სეკიტორი უდგას: იოკოძუნა ასასიორიუ, ოძეკი ტიოტაიკაი, სეკივაკე კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები ტოინოსიმა და ტამანოსიმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჰოკეი

NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

11 იანვარი

**ბუფალო 2:4 ტორონტო**

*0:0 1:2 1:2*

0:1 ონილი (21), 1:1 ვანეკი (27), 1:2 კუბინა (36), 2:2 დრური (43), 2:3 სტინი (46), 2:4 ონილი (51)

**ბოსტონი 4:5 აილენდერსი**

*2:0 0:1 2:3 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 ბერჟერონი (4), 2:0 სავარი (9), 2:1 რობიტაილი (26), 2:2 ჰანტერი (41), 3:2 ჩარა (45), 3:3 პოტი (50), 4:3 მარა (54), 4:4 კოზლოვი (59)

**რეინჯერსი 4:6 ოტავა**

*0:1 0:3 4:2*

0:1 ივზი (11), 0:2 კელი (22), 0:3 ვერმეტი (23), 0:4 ივზი (33), 0:5 ალფრედსონი (42), 1:5 პრუხა (44), 2:5 უარდი (45), 3:5 ჰოსა (47), 4:5 ბეტსი (51), 4:6 ჰითლი (60)

**ფილადელფია 2:4 მონრეალი**

*2:2 0:1 0:1*

0:1 ჯონსო (5), 1:1 კარტერი (6), 1:2 კოვალიოვი (6), 2:2 პიტკანენი (8), 2:3 ჰიგინსი (29), 2:4 რაიდერი (48)

**ტამპა 5:4 ვაშინგტონი**

*2:1 2:3 1:0*

1:0 კრეიგი (5), 1:1 სიომინი (8), 2:1 ლეკავალიე (9), 2:2 სიომინი (26), 2:3 კლაიმერი (31), 3:3 პროსპალი (32), 4:3 ლეკავალიე (33), 4:4 კლარკი (40), 5:4 სენ ლუი (44)

**დალასი 1:5 ანაჰაიმი**

*0:1 1:3 0:1*

0:1 სელიანე (19), 1:1 ჰაგმანი (33), 1:2 სელიანე (38), 1:3 ს. ნიდერმაიერი (39), 1:4 დიპინტა (40), 1:5 სელიანე (49)

**კოლორადო 3:7 კალგარი**

*2:2 1:4 0:1*

1:0 სვატოში (10), 1:1 ჰამრლიკი (11), 1:2 ჰუსელიუსი (13), 2:2 შჩასტნი (18), 2:3 მოსი (22), 2:4 ლენგკოუ (31), 2:5 ლენგკოაუ (33), 3:5 ბრიუნე (36), 3:6 ამონტი (40), 3:7 ჰუსელიუსი (52)

**ფინიქსი 1:5 დეტროიტი**

*0:1 0:0 1:4*

0:1 ჰოლმსტრომი (20), 1:1 პერო (41), 1:2 ჰოლმსტრომი (47), 1:3 დაციუკი (51), 1:4 ჰოლმსტრონგი (55), 1:5 დაციუკი (58)

**ვანკუვერი 2:5 მინესოტა**

*0:2 2:1 0:2*

0:1 გაბორიკი (4), 0:2 როლსტონი (13), 0:3 რადივოევიჩი (25), 1:3 პაიეტი (32), 2:3 მიტჩელი (35), 2:4 გაგორიკი (46), 2:5 ულცი (54)

**ლოს ანჯელესი 2:5 სან ხოსე**

*0:0 1:3 1:2*

1:0 კამალერი (26), 1:1 ბელი (28), 1:2 მიხალეკი (33), 1:3 მარლო (39), 1:4 კლოუ (48), 2:4 კოპიტარი (49), 2:5 რისმილერი (59)

## კაცების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

ფედერერი (1) — ფო
ბიორკმანი — პატიენსი
გროილს — ლუ
იუჟნი (25) — ჰერნიხი
ფერერო (24) — ჰაჟეკი
უდომჩოკე — არგუელო
ლოპესი — კვალიფიკაცია
ჯოკოვიჩი (14) — მასუ
ბაღდატისი (11) — შუტლერი
მონფილზი — ბრაჩიალი
სიმონი — დელიკი
გასკე (18) — ვოლანდრი
აკასუსო (27) — ქუერეი
სერა — დევილდერი
კარლოვიჩი — მელცერი
რობრედო (7) — რამირეს იდალგო
ლუბიჩიჩი (4) — ფიში
მაჰუ — მონაკო
კუბეკი — არტურსი
კალერი (30) — კვალიფიკაცია
შტეპანეკი (20) — ლოდრა
დლუჰი — კვალიფიკაცია
ტ. იოჰანსონი — კვალიფიკაცია
ფერერი (16) — პლესი
ანჩიჩი (9) — სოედა
ი. იოჰანსონი — გარსია ლოპესი
ხაპდეა — ანდრეევი
ჰრბატი (22) — ზანეკი
საფინი (26) — ბეკერი
შრიჩაპანი — კვალიფიკაცია
ჟიკუე — ჯონსი
როდიკი (6) — ტსონგა
ნალბანდიანი (8) — ტიპსარევიჩი
ლაპენტი — კვალიფიკაცია
გუჩიონე — ო. როხუსი
გროჟანი (28) — კ. როხუსი
სოდერლინგი (23) — მაიერი
სეპი — კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია — კვალიფიკაცია
ჰაასი (12) — მონტანიესი
ბერდიხი (13) — ლი
სმიტსი — კვალიფიკაცია
მირნი — ჰორნა
ტურსუნოვი (21) — კვალიფიკაცია
მალისი (29) — კლემანი
სანტორო — კუნიცინი
მიულერი — გაუდიო
დავიდენკო (3) — როიტმანი
ბლეიკი (5) — მოია
ლუჟაკი — კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია — კვალიფიკაცია
ალმაგრო (32) — ჯინეპრი
ჰიუიტი (19) — კვალიფიკაცია
დანსევიჩი — ჰანესკუ
დელ პოტრო — დი მაურო
გონსალესი (10) — კოროლიოვი
მიურეი (15) — მარტინი
ვერდასკო — მატიო
ჩელა — სტარაჩე
ნიემინენი (17) — გოლდსტინი
ვავრინკა (31) — კიმი
ბენეტო — კვალიფიკაცია
კოლშრაიბერი — ვლიგენი
ნადალი (2) — კენდრიკი

## ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი

# ერთი როჯერი და დანარჩენები

## ორი ენდი, მარატი და რაფა



AFP მელბურნიდან

როჯერ ფედერერი

**დაიწყება** თუ არა როჯერ ფედერერის დიდი სლემისკენ სვლა? აი, ის ძირითადი ინტრიგა, რომელიც ამ ავსტრალიის ღია პირველობას თან სდევს. დღესდღეობით ხომ სრულ უაზრობად მოჩანს ვინმეს ფავორიტობაზე მსჯელობა მაშინ, როდესაც კორტზე სადმე „მხიარული როჯერია“.

ფედერერი შარშანაც ძალიან ახლოს იყო დიდ სლემთან — ოთხივე სლემტურნირის ფინალში ითამაშა და მხოლოდ „როლან გაროსის“ თიხნარი დატოვა თავჩაქინდრულმა. დიდი სლემი, ანუ ოთხივე სლემტურნირი ერთ სეზონში დიადი როდ ლეივერის შემდეგ არავის მოუგია. ასე რომ, ალპელი წლეულს ახალ სიმაღლეს უმიზნებს, თუმც თვითონ ფედერერი ამდენად შორს არ იცქირება:

„ნაადრევია დიდ სლემზე ფიქრი. წლეულს ერთი სლემტურნირიც რომ მოვიგო, უკვე კარგი შედეგი იქნება. შარშან სამზე ვიმარჯვე, რაც ფანტასტიკური იყო, თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველ წელს იგივეს გავიმეორებ. ამწუთას უახლოესი ორი კვირა მაღელვებს — აქ თუ წარმატებით ვითამაშე, სლემზე მერე ვილაპარაკოთ“.

შვეიცარიელი ტრადიციულად კი მორცხვობს, მაგრამ წლეულს მართლაც გაუჭირდება ტიტულის შენარჩუნება, რადგანაც პირველობას არცთუ სახარბიელო ფორმაში ხვდება. ფედერერის უმთავრესი პრობლემა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობაა — მან ხომ დასვენების გახანგრძლივების ხარჯზე დოჰაში თამაშზე უარი თქვა. ფედერერმა ერთი წლის წინაც მძიმედ დაიწყო სეზონი და ყველაზე სუსტად ალბათ სწორედ ავსტრალიაში ითამაშა. ბევრის აზრით, მაშინ ალპელს მაგრადაც გაუმართლა. ამიტომ „მხიარულ როჯერს“ დაძაბული და საინტერესო თავგადასავლები ელოდება მელბურნ-პარკის კორტებზე. მით უმეტეს, რომ წლეულს მელბურნში უფრო სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა — შარშანდელისგან განსხვავებით, წლის პირველ დიდ ტურნირზე მარატ საფინი და რაფაელ ნადალი ითამაშებენ.

რუსმა გოლიათმა როგორც იქნა უკან მოიტოვა ტრავმებითა და იმედგაცრუებებით სავსე წელიწადი და ამ სეზონს დიდი ამბიციებით ხვდება. საფინმა მოახერხა საუკეთესოებში დაბრუნება და აგერ განთესილთა სიაშიც მოხვდა, ხოლო ორიოდ თვის წინ რუსთა სადევისთასო გამარჯვებაში შეტანილი არცთუ მცირე როლის შემდეგ თავდაჯერებაც დაიბრუნა.

საფინის მთავარი პრობლემა ისევ არასტაბილურობა იქნება, მაგრამ, მეორეს მხრივ, მარატი ავსტრალიაში ყოველთვის დიდებულად თამაშობდა და მელბურნში სამი ფინალიც აქვს ნათამაშები, შარშანწინ კი სულაც იჩემპიონა. გარდა ამისა, Kooyong Classic-ის საჩვენებელი ტურნირის ნახევარფინალში რუსი ფედერერს თანაბრად ეჭიდავა, რის შემდეგადაც თავად საფინმა განაცხადა — როჯერთან ტოლ-სწორად თამაში თუ შევძელი, გამოდის, რომ კარგ ფორმაში ვარო.

ძნელი სათქმელია, რას უნდა ველოდოთ რაფაელ ნადალისგან. ესპანელ ვარსკვალბიჭუნას ჰარდზე განსაკუთრებით კარგი შედეგები არასოდეს ჰქონია და ამიტომ მისგან ბევრს არც არავინ მოელის. თუმც მალიორკელ ვუნდერკინდზე ასე ბოლო უიმბლდონის წინაც ლაპარაკობდნენ, პირინეელი კი ადგა და ფინალში გავიდა. ასე რომ, რაფა ის ბიჭი არაა, ვინმეს თავი დაუხაროს.

საფინი და ნადალი კი, მაგრამ ფედერერის უმთავრეს მეტოქედ მაინც ენდი როდიკი მოჩანს, რომელიც სეზონის სტარტზე ძალიან შთამბეჭდავად თამაშობს. ამერიკელმა ჯიმი კონორსის ხელში საბოლოოდ აღიდგინა ფორმა და საჩოგბურთო სამყაროში კარგად ცნობილი ყუმბარმტყორცნიც ძველებურად აამუშავა. ერთი ეგაა, რომ ენდი-ბოის მელბურნში კონორსის და მისი რჩევების იმედი ვერ ექნება, რადგანაც ამერიკელ ლეგენდას დედა გარდაცვლია და მწვანე კონტინენტზე ვერ ჩავა. თვითონ როდიკმა კი ომახიანად განაცხადა, რომ ავსტრალიაში გამარჯვებას კონორსის საპატივცემულოდ ეცდება.

არც მეორე ენდის, ბრიტანელთა იმედ მიურეის დავიწყება ეგების, რომელსაც იუნიორობის ალარაფერი ეტყობა და მშვენივრადაც თამაშობს. ავსტრალიაში მეორეხარისხოვანი როლით რომ არ დაკმაყოფილდება, თინეიჯერმა შოტლანდიელმა დოჰაშიც დაამტკიცა, სადაც ფინალს უწია და ზემოთ ნახსენებ Kooyong Classic-ზეც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიურეი ნადალის გარდა ერთადერთია, ვინც შარშან ფედერერის გამწარება შეძლო, დღევანდელ ჩოგბურთში კი ეს სიძლიერის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებლად არის ქცეული.

არცთუ იმედიანად ხვდებიან დამლევ პირველობას მასპინძლები. მათი მთავარი იმედი ლეიტონ ჰიუიტი ვერ არის სახარბიელო მდგომარეობაში. ავსტრალიელს ფეხის ტრავმა რომ აწუხებს, ერთია, მაგრამ ზედ ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის წინ მწვრთნელიც რომ გაექცა, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მთლად კარგად ვერ იმოქმედებდა. მოკლედ, ისეთი პირი უჩანს, ოზ ბიჭს არც წლეულს უწერია მშობლიური ტრიბუნების წინ ტრიუმფის მოწყობა.

**ძაჰა ლომაშვილი**

## ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1960 | როდ ლეივერი | 1975 | ჯონ ნიუკომბი | 1989 | ივან ლენდლი |
| 1961 | როი ემერსონი | 1976 | მარკ ედმონდსონი | 1990 | ივან ლენდლი |
| 1962 | როდ ლეივერი | 1977(იანვარი) | როსკო ტანერი | 1991 | ბორის ბეკერი |
| 1963 | როი ემერსონი | 1977(დეკემბერი) | ვიტას გერულაიტისი | 1992 | ჯიმ კურიე |
| 1964 | როი ემერსონი | 1978 | გილერმო ვილასი | 1993 | ჯიმ კურიე |
| 1965 | როი ემერსონი | 1979 | გილერმო ვილასი | 1994 | პიტ სამპრასი |
| 1966 | როი ემერსონი | 1980 | ბრაიან თიჩერი | 1995 | ანდრე აგასი |
| 1967 | როი ემერსონი | 1981 | იოჰან კრიკი | 1996 | ბორის ბეკერი |
| 1968 | ბილ ბოური | 1982 | იოჰან კრიკი | 1997 | პიტ სამპრასი |
| 1969 | როდ ლეივერი | 1983 | მათს ვილანდერი | 1998 | პეტერ კორდა |
| 1970 | არტურ ეში | 1984 | მათს ვილანდერი | 1999 | ევგენი კაფელნიკოვი |
| 1971 | კენ როუზუოლი | 1985 | სტეფან ედბერგი | 2000 | ანდრე აგასი |
| 1972 | კენ როუზუოლი | 1986 | არ ჩატარებულა | 2001 | ანდრე აგასი |
| 1973 | ჯონ ნიუკომბი | 1987 | სტეფან ედბერგი | 2002 | ტომას იოჰანსონი |
| 1974 | ჯიმი კონორსი | 1988 | მათს ვილანდერი | 2003 | ანდრე აგასი |
| | | | | 2004 | როჯერ ფედერერი |
| | | | | 2005 | მარატ საფინი |
| | | | | 2006 | როჯერ ფედერერი |

**15–28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $**

# მაშა ვთქვათ, კიმი ვიგულისხმოთ

**ჟუსტინ ენინ-არდენის** არყოფნაში, ვინც ქმარს ეყრება და ჩოგბურთისთვის აღარ სცხელა, ორგანიზტორებმა პირველ ნომრად მარია შარაპოვა განთესეს. ხოლო ვინაიდან რუს პრიმას ასეთი პატივი აქამდე არასოდეს ღირსებია, ამან მაშა ძალიან გაახარა. თუმც აშშ-ს ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონი ამ ფაქტს თავის უპირატესობად სულაც არ თვლის და მიაჩნია, რომ მის მეტოქეებს დამატებით მოტივაციას შესძენს.

წლის პირველი სლემტურნირისთვის შარაპოვა ჩვეულად მოემზადა და მაინდამაინც არ გადაიღალა თავი. მაშამ მხოლოდ ჰონკონგის საჩვენებელ ტურნირზე ითამაშა, სადაც საჭირო სათამაშო პრაქტიკა მიიღო და ყველას დაანახვა, რომ არცთუ ურიგო ფორმაშია. ეგ იყო და ეგ — სიდნეიში თამაშს რუსმა პრიმამ დასვენება და ადგილობრივ კლიმატს შეჩვევა არჩია.

შარაპოვა ეცდება, როგორმე დაძლიოს მისთვის ლამის წყევლად ქცეული ნახევარფინალური ბარიერი — მან ხომ ამ ეტაპზე ზედიზედ ორჯერ წაიფორხილა. ერთადერთი, რაც თვითონ მაშას აღელვებს, ავსტრალიური სიცხეებია. ამას შარშანაც უჩიოდა და წელსაც რამდენჯერმე დაიწუწუნა.

შარაპოვა პირველი ნომერია კია, მაგრამ დამდეგ სლემტურნირს ყველაზე იდეალურ ფორმაში კიმ კლაისტერსი ხვდება. წლეულს ჩოგბურთიდან მიმავალი ფუმფულა ბელგიელი უბრალოდ, ზღაპრულად თამაშობს და ტრავმებს თუ გადაურჩა, მისი გამკავებელი ძნელად ვინმე გამოჩნდეს. კლაისტერსმა ჰონკონგისა და სიდნეის ტურნირების მოგებით ყველას დაანახვა, რომ წლის პირველ სლემტურნირისთვის ყველაზე კარგად არის მომზადებული. როგორც ჩანს, კიმს, რომელმაც არაფრით არ გადაიფიქრა სპორტიდან წასვლა, საკუთარი თავისთვის ფანტასტიკური გაცილების მოწყობა განუზრახავს და ამას საფუძველს ავსტრალიიდანვე ჩაუყრის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კიმს მაყურებლის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს, რადგანაც ავსტრალიაში კვლავაც ძალიან უყვართ — ჰიუიტთან ნიშნობა უკვე ჩავლილი საქმეა, მაგრამ ფუმფულა ბელგიელს ოზების გულებში მაინც მყარად გაუდგამს ფესვი.

რატომღაც კვლავ მეორეხარისხოვან როლში გაამწესეს პირველობის მოქმედი ჩემპიონი ამელი მორესმო. ორი სლემტურნირის მოგება და ლამის მთელი გასული წლის რეიტინგის სათავეში ყოფნა არ აღმოჩნდა საკმარისი მხარბეჭიანი ფრანგის რიგიანად დასაფასებლად. თუმც ასეთი როლში ყოფნა თვითონ ამელის აძლევს ხელს. შარშანაც ეგრე იყო, მაგრამ ამას მისთვის ავსტრალიაში და უიმბლდონზე ტრიუმფში ხელი არ შეუშლია.

არ შეიძლება ავსტრალიის სამგზის ჩემპიონისა და სამწლიანი შესვენების შემდეგ ჩოგბურთში შარშან მობრუნებული მარტინა ჰინგისის დავიწყებაც. შვეიცარიელმა გასულ სეზონში მხოლოდ აქა-იქ გამოაჩინა ძველებური ბრჭყალები, მაგრამ წლეულს მისგან გაცილებით მეტს ელიან, როგორც ჩოგბურთის სპეციალისტები, ისე მარტინას კოლეგები. მაგალითისთვის, კლაისტერსმა ჰინგისი მომავალი პირველობის ფავორიტებში მოიხსენია და პირდაპირ განაცხადა, რომ მის ძველ დონეზე დაბრუნებას მოელის.



AFP მელბურნიდან

ამელი მორესმო

როგორც ყოველთვის, ძალიან სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლებათ რუსებს. მარტო ის რად ღირს, რომ განთესილთა ათეულში ხუთი მათგანი მოხვდა. მაგრამ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ის ტურნირია, რომელზეც ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი რომელიმე რუსი ჩოგნის მქნეველისგან (რა თქმა უნდა, შარაპოვას გარდა) რაიმე სერიოზულის ხილვა. ეს კი იმიტომ, რომ სვეტლანა კუზნეცოვა, ნადია პეტროვა და ელენა დემენტიევა ფორმაში საკმოდ გვიან შედიან ხოლმე, რის გამოც აქამდე ავსტრალიაში კარგი შედეგები არასოდეს ჰქონიათ. მით უმეტეს, ახლა კუზნეცოვა და პეტროვა მთლად ჯანმრთელად ვერ არიან. რაც შეეხება დინარა საფინას, მან ერთი კვირის წინ გოლდ კოსტში კი იმარჯვა, მაგრამ ჯერჯერობით სლემტურნირის მოგებისთვის რეალურად ბრძოლა მაინც არ შეუძლია.

მელბურნში ერთი უილიამსიც ითამაშებს — ვენუსის არყოფნაში სერენა ეცდება ძველი დიდების დაბრუნებას. თუმც საეჭვოა რაიმე გამოუვიდეს, რადგანაც თავისი დისა არ იყოს, კორტისკენ სულ უფრო იშვიათად იყურება. სერენას კვლავაც ძალიან მცირე სათამაშო პრაქტიკა აქვს, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ წლეულსაც მეოთხე წრის იქით ვერ უნდა გავიდეს.

ისე კი ამერიკელები თავისთვის ხეირიანს ნამდვილად არ ელიან ამ ღია პირველობიდან — მელბურნში ხომ არც ლინდსი დევენპორტი ითამაშებს, რომელსაც ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, ჩოგბურთიდან საბოლოოდ წავიდეს თუ არა.

**ბახა ლომჯვილი**

## ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1960 | მარგარეტ სმიტი | 1976 | ივონ გულაგონგი | 1991 | მონიკა სელეში |
| 1961 | მარგარეტ სმიტი | 1977(იანვარი) | კერი მელვილ რიდი | 1992 | მონიკა სელეში |
| 1962 | მარგარეტ სმიტი | 1977(დეკემბერი) | ივონ გულაგონგ კაული | 1993 | მონიკა სელეში |
| 1963 | მარგარეტ სმიტი | 1978 | კრის ონილი | 1994 | შტეფი გრაფი |
| 1964 | მარგარეტ სმიტი | 1979 | ბარბარა ჯორდანი | 1995 | მარი პირსი |
| 1965 | მარგარეტ სმიტი | 1980 | ჰანა მანდლიკოვა | 1996 | მონიკა სელეში |
| 1966 | მარგარეტ სმიტი | 1981 | მარტინა ნავრატილოვა | 1997 | მარტინა ჰინგისი |
| 1967 | ნენსი რიჩი | 1982 | კრის ევერტ ლოიდი | 1998 | მარტინა ჰინგისი |
| 1968 | ბილი ჯინ კინგი | 1983 | მარტინა ნავლატილოვა | 1999 | მარტინა ჰინგისი |
| 1969 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1984 | კრის ევერტ ლოიდი | 2000 | ლინდსი დევენპორტი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1985 | მარტინა ნავრატილოვა | 2001 | ჯენიფერ კაპრიატი |
| 1971 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1986 | არ ჩატარებულა | 2002 | ჯენიფერ კაპრიატი |
| 1972 | ვირჯინია ვეიდი | 1987 | ჰანა მანდლიკოვა | 2003 | სერენა უილიამსი |
| 1973 | მარგარეტ სმიტი კორტი | 1988 | შტეფი გრაფი | 2004 | ჟუსტინ ენინ-არდენი |
| 1974 | ივონ გულაგონგი | 1989 | შტეფი გრაფი | 2005 | სერენა უილიამსი |
| 1975 | ივონ გულაგონგი | 1990 | შტეფი გრაფი | 2006 | ამელი მორესმო |

## ქალების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- შარაპოვა (1) — [illegible]
- ვინჩი — [illegible]
- შონესი — კვალიფიკაცია
- გარბინი (30) — გალიარდი
- ზვონარიოვა (22) — ობზილერი
- ბრემონი — კვალიფიკაცია
- ლეპშენკო — რადვანსკა
- ივანოვიჩი (13) — კინგი
- ჩაკვეტაძე (12) — ბამერი
- გრენვილი — ბეიგელზიმერი
- ფერგიუსონი — ტოსიჩი
- სტოსური (24) — კვალიფიკაცია
- პენეტა (28) — კანეპი
- ჩანი — მოლიკი
- პენგი — კვალიფიკაცია
- შნიდერი (8) — ბრენგლი
- კლაისტერსი (4) — ბარდინა
- მორიგამი — პირონკოვა
- პრატი — რაზანო
- ბონდარენკო (29) — კვალიფიკაცია
- გრონეფელდი (17) — კვალიფიკაცია
- ჰარკლროუდი — იუანი
- ლუა — რეზაი
- ჰანტუხოვა (15) — კვალიფიკაცია
- საფინა (9) — ბიჩკოვა
- ფედოსოვა — კასტანო
- დომინგეს ლინო — კვალიფიკაცია
- ლი (19) — ბოვინა
- დანილიდუ (32) — ნაკამურა
- სავჩუკი — მირზა
- ლეინი — კვალიფიკაცია
- ჰინგისი (6) — დეში
- პეტროვა (5) — ტანასუგარნი
- დულკო — სუნი
- კრაიჩეკი — კვალიფიკაცია
- სანტანჯელო (27) — უილიამსი
- ბარტოლი (19) — დუშევინა
- აზარენკა — ფელაკი
- ჟინკი — რუანო პასკუალი
- იანკოვიჩი (11) — ვოზნიაკი
- პირი (16) — ოპრანდი
- ტუ — გალოვიცი
- ონდრაშკოვა — ფერნანდესი
- გოლოვინი (20) — სმაშნოვა
- კირილენკო (26) — შპრემი
- ლიხოვცევა — კვალიფიკაცია
- ტულიაგანოვა — ადამჩაკი
- კუზნეცოვა (3) — მური
- დემენტიევა (7) — ფორეცი
- მიულერი — კვალიფიკაცია
- კამერინი — ფლიპკენსი
- გარიგესი (25) — ვესნინა
- სრებოტნიკი (21) — დელაკუა
- ბენეშოვა — ვოსკობოევა
- გაიდიშოვა — სექუერა
- ვაიდიშოვა (10) — კრეიბასი
- სკიავონე (14) — კლოზელი
- შაფაროვა — ბრიანტი
- იაკიმოვა — პოუსტიო
- სუგიამა (23) — არვიდსონი
- ჟენგი (31) — შრუფი
- სუხა — ბირნეროვა
- დომაჩოვსკა — პუჩკოვა
- მორესმო (2) — პერი

# ევროპის VIII ჩემპიონატი კაცები. შესარჩევი ტურნირი. მესამე ჯგუფი

## 12 იანვარი. თბილისი. სპორტის სასახლე. 1900 მაყურებელი

**საქართველო 24:34 რუმინეთი**

**საქართველო:** თევზაძე, სამყურაშვილი, რუსია (გაიტანა 8 გოლი), გელაშვილი (5), ჭანტურია (4), ქობელაშვილი (4), წივწივაძე (2), კობახიძე (1), ყიფიანი, ბოყოჩაძე, კირილოვი, ტალახაძე, ნიკოლაიშვილი, ბერძენიშვილი

**რუმინეთი:** ლაუფჩაკი, სტანესკუ, მაზილუ (8), სადოვიაკი (7), ჟურკა (4), სინდუ (3), ტიმოფტე (3), კოზმა (3), პეტრაი (2), შანია (2), ნოვანკი (1), სტავროსიტუ (1), ბორიჩა, ტომა

**მსაჯები:** ურმო სიტსი, ტოომას შეინლა (ესტონეთი)

**ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი:** ვასილ ფეგირი (უკრაინა)



ვლადიმერ რუსია
რვა გოლით გამოირჩა

ბადრი კეთილაძის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ხელდაბორკილნი

## ქართულ ხელბურთს სკამიც აკლია და სერვისიც

**გუშინდელ** მატჩს ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველ ხელბურთელებს გამარჯვების შემთხვევაში მცირეოდენი საპლეიოფო შანსი გაუჩნდებოდათ, ხოლო რუმინელებს მოგება ვალამდე გაიყვანდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე.

მართალია, რუმინეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატებში ხელშესახები წარმატებისთვის არ მიუღწევია (საუკეთესო შედეგია მეცხრე ადგილი 1996 წელს), თუმც კლასით და საერთო დონით თავიდანვე ჯგუფის ფავორიტად მიიჩნეოდა. ხუთიოდე დღის წინ ლატვიელების თამაშთან თუ შევადარებთ, რუმინელებმა გაცილებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს ჩინებული ტაქტიკური სვლებით, მაღალი დონის ტექნიკური მომზადებით, შეტევის მიმართულების სწრაფი და მოულოდნელი შეცვლით, რითაც არაერთგზის აურიეს თავგზა მასპინძელთა მცველებსა და მეკარეს.

იმის თქმა გვინდა, რომ ევროსარბიელზე ქართველ ხელბურთელთა 12-წლიანი გამოსვლისას თბილისში სულ ერთი-ორი ნაკრები თუ გვინახავს რუმინელთა დონისა.

შარშანწინანდელ ციკლში ისინი ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ უკრაინელთა შემდეგ, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ, რადგან სერბებთან ორრაუნდიან პლეიოფში დამარცხდნენ — 26:25 და 25:35. ამჯერად კი, ვფიქრობთ, კონტინენტის 2008 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი აქვთ, რადგან საფუძვლიანად მომზადებულები ჩანან. რუმინელებმა სამზადისი ჯერ კიდევ ოქტომბერში შეკრებით დაიწყეს, შემდეგ სამ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, ბოლოს დეკემბრის მიწურულს, უშუალოდ ამ საკვალიფიკაციო ციკლის დაწყების წინ. ეს იყო იტალიაში, ბოლონიის ტრადიციული ოთხთა ტურნირი.

ცნობისთვის, მერაბ მეტრეველის ბიჭების გუშინდელი მეტოქეები თავიდანვე ისე იყვნენ წარმატებაში დარწმუნებულები, რომ კარგა ხანია დაგეგმილი აქვთ ივნისში გასამართ საპლეიოფო თამაშებამდე ოთხი შეკრებაც და უნგრეთის ნაკრებიც შეუგულებიათ აპრილში ორჯერ სასპარინგოდ.

რუმინეთის ნაკრებში მხოლოდ ორი ლეგიონერია — ხორვატიის „ზაგრებში“ მოთამაშე რარეშ ჟურკა და უნგრული „ვესპრემის“ ხაზელი, 211 სანტიმეტრი სიმაღლის ყანჩა მარიან კოზმა. ექვსნი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ „კონსტანცას“ წევრები არიან, ოთხნი — ბუქარესტის „სტიაუასი“. ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ რუმინეთის უმაღლეს სახელბურთო ლიგაში 14 კლუბია.

მეტრეველს ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის გაძღოლაში ეხმარებოდა ნაკრების ლიდერი სერგო დათუკაშვილი, რომელიც ტრავმის გამო ამჯერად ვერ თამაშობს. გუშინ იგი მეორე მწვრთნელის ფუნქციას ასრულებდა, რადგან ჯემალ ბარამიძე ლატვიელებთან მარცხის შემდეგ გადადგა. რაც შეეხება კიდევ ერთ მწვრთნელს, ირაკლი კეკელიძეს, მას წინა მატჩში მსაჯების გადაწყვეტილებით უკმაყოფილების ხელების შლითა და გადაფურთხებით გამოხატვის გამო წითელი ბარათი — სათადარიგოთა სკამიდან გაძევება არ აკმარეს და ევროპის ხელბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 250 ევროიანი ჯარიმითაც დასაჯა.

კიდევ ორიოდე სიტყვა ბალტიისპირელებთან მატჩზე: ევროფედერაციის დელეგატს, თურქ მუსტაფა ბალაკს პატაკში აღუნიშნავს, თბილისის სპორტის სასახლეში პირობები სათანადო დონეზე ვერ იყოო — ციოდა, უსუფთაობა იყო, სამდივნოს მაგიდა მოედანთან სტანდარტის შესატყვისად არ იდგაო. ისე, რას ვერჩით, თუ გვინდა, რომ მომავალშიც ვუმასპინძლოთ უმაღლესი დონის თამაშებს, სერვისიც არანაკლები უნდა გვქონდეს.

მასპინძლებმა თამაში თითქმის იგივე შემადგენლობით დაიწყეს, როგორც ლატვიასთან — თევზაძე, რუსია, გელაშვილი, ჭანტურია, ქობელაშვილი, კირილოვი, ყიფიანი. მუხლის ტრავმის გამო შემადგენლობაში არ ყოფილა რატი მსხვილიძე, სამაგიეროდ დაბრუნდა ლევან ბერძენიშვილი, თუმც მოედანზე არ გასულა. მოკლედ, სამი წამყვანი მოთამაშის ტრავმის გამო მეტად მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს და ახლაც, მეორე ტაიმის შუაწელიდან, დაქანცულ ბიჭებს აღარც ხეირიანი პასი გამოსდიოდათ და ვეღარც კარში ტყორცნიდნენ ზუსტად, ახლო მანძილიდანაც კი. ლატვიელებთან შეხვედრისგან განსხვავებით, ჩვენი ხელბურთელები ამჯერად ერთხელაც ვერ დაწინაურდნენ.

შეიძლება იმანაც იქონია გავლენა, რომ ბულგარელებმა, შეპირების მიუხედავად, რუმინელებთან თამაშის ვიდეოფირი არ გამოგზავნეს და ამდენად, არაფერი ვიცოდით მეტოქის ტაქტიკურ-ტექნიკურ შესაძლებლობებზე.

დასაწყისიდანვე სტუმრები გაიჭრნენ წინ (სამ წუთში — 3:0) და იოლად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე, თუმც ჩვენმა ბიჭებმა იმათი მწვრთნელები ერთი-ორჯერ გვარიანად ანერვიულეს. მეშვიდე წუთისთვის რეაქტიული ფრთების გიორგი ქობელაშვილისა და რევაზ ჭანტურიას შედეგიანი შეტევებით ჩამორჩენა მინიმუმამდე შემცირდა — 3:4, მაგრამ მომდევნო ხუთ წუთში რუმინელთა უპირატესობა ხუთ ბურთამდე გაიზარდა — 9:4. ასეთ არეულ რიტმში მიდიოდა თამაში მეორე ტაიმის შუამდე, ჩვენები რის ვაი-ვაგლახით ათანაბრებდნენ — 12:12, 13:13, სტუმრები კი იქვე გარბოდნენ წინ.

ტაიმი საქართველოს ნაკრებმა სამბურთიანი სხვაობით დათმო — 15:18, მაგრამ შესვენების შემდეგ ისე ჯიგრით შეუტია, რომ ვლადიმერ რუსიამ და ლევან გელაშვილმა სამიოდ წუთში თანაფარდობა აღადგინეს — 18:18. თუმც ეს ჩვენების ბოლო გაბრძოლება იყო. რუმინელებმა ისევ აიწყვიტეს და ექვს წუთში მიყოლებით ხუთჯერ გაგვიტანეს, მასპინძლებს კი კიდევ ერთი სპურტისთვის ჯანი და ოსტატობა აღარ შერჩათ.

მეტრეველი მთელი მატჩის განმავლობაში ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს, მაგრამ საბოლოოდ დაღლამ და სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ თავისი გაიტანა.

საქართველოს ნაკრები გამთენიისას სტამბოლის გავლით ბუქარესტში გაფრინდა, იქიდან კი ავტობუსით შავიზღვისპირა კონსტანცაში ჩავა, სადაც ხვალ რუმინელებთან საპასუხო მატჩი გაიმართება.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 102:72 | 6 |
| ლატვია | 3 | 0 | 0 | 101:73 | 6 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 3 | 72:99 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 | 73:104 | 0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge